ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 99
(11 861)

14 – 16 დეკემბერი, 2004 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:


- განათლებამ... გამოანათა
- ზურამ აბსანძემ პროგრამით გაგვაოცა



- განვარჯიში: ვინაა ლეგიტიმური და ვინ, არა
- უეფამ დაგვსაჯა...
- ფეხბურთს შეწირული გულები...
- გარი პეიტონმა „თავისიანები“ გაწირა



- კლიჩკო ისევ ჩემპიონია...
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი




## ანდრეი შევჩენკო – «ფრანს ფუტბოლის» რჩეული

ფრანგულმა სპორტულმა გამოცემამ – „ფრანს ფუტბოლმა“ გუშინ წლის საუკეთესო ფეხბურთელად ანდრეი შევჩენკო დაასახელა. „მილანის“ უკრაინელმა ფორვარდმა 2003-2004 წლების სეზონში იტალიის სერია „ა“-ს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და მიმდინარე ჩემპიონატშიც უხვად მოაქვს გოლები თავისი გუნდისათვის.

შევჩენკო ყოფილი საბჭოთა სივრციდან მეოთხე ფეხბურთელია, რომელიც „ფრანს ფუტბოლის“ რჩეულთა შორის მოხვდა. სხვადასხვა დროს ეს ტიტული მიიღეს ლევ იაშინმა, ოლეგ ბლოხინმა და იგორ ბელანოვმა.



## 17 დეკემბერს სეოკ-ის სესიაზე...

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იუწყება, რომ 17 დეკემბერს, 12 საათზე, მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია. სესია ჩატარდება სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“.

დელეგატების რეგისტრაცია 11 საათიდან.

სეოკ-ის აღმასკომი

## განცხადება

25 დეკემბერს მოწვეულია საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

ყრილობა ჩატარდება სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში. დასაწყისი 12 საათზე.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 29-28-75.



## დარჩა მხოლოდ ბაკურ გოგიტიძე

10 დეკემბერს, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველთა განცხადების წარდგენის ვადა ამოიწურა. მაგრამ ამ დროისთვის არათუ გაიზარდა კონკურენტთა რიცხვი, პირიქით, შემცირდა — თავისი კანდიდატურა მოხსნა ჟურნალ „ფალავანის“ რედაქტორმა ზვიად შევარდენიძემ და ახალა 15 დეკემბერს დანიშნულ ჭიდაობის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე კენჭს იყრის მხოლოდ ერთადერთი კანდიდატურა — ცნობილი ვეტერანი ფალავანი ბაკურ გოგიტიძე.

## რამაზ ნოზაძე ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელიცაა

ცნობილი მწვრთნელის ოთარ ტატიშვილის შეგირდმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რამაზ ნოზაძემ კიდევ ერთ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია — ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა 96 კგ. წონით კატეგორიაში. ეს ასპარეზობა გაიმართა უკრაინის მარიუპოლში და ქართველმა ფალავანმა იქაური კლუბის „აზოლმაშის“ სახელით იასპარეზა. მასპინძლების გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ საბერძნეთის და რუსეთის კლუბები. თურქეთის კლუბი საასპარეზოდ არ ჩავიდა.

პირველი შეხვედრა ნოზაძის კლუბმა საბერძნეთის ფალავნებთან ჩაატარა და მშრალი ანგარიშით 7:0 სძლია. მან თავის წონაში მოუგო საბერძნეთის ნაკრების წევრს, ათენში ოლიმპიური თამაშების მონაწილეს ხრისტოს კუტეპასს, მეორე ტურში რუსეთის უძლიერეს გუნდთან მატჩის ბედი მხოლოდ ერთმა გამარჯვებამ გადაწყვიტა მასპინძლების სასარგებლოდ — 4:3. ნოზაძემ აქ მსოფლიო ჩემპიონს სერგეი ბეზრუჩკინს სძლია — 3:0. ჩვენს ფალავანს მთავარი პრიზის გარდა საუკეთესო ტექნიკური მოჭიდავისთვის განკუთვნილი ჯილდოც გადაეცა.



აჯილდოებს სანდრა რულოვსი
ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

10 დეკემბერს, როგორც ვიტყობინებოდით, თბილისის სპორტის სასახლეში დაგეგმილი იყო მატჩი ფრენბურთელ ქალთა შორის საქართველოს პირველი ლედის თასზე. ეს შეხვედრა გაიმართა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ოთხ სეტში გამარჯვება წილად ხვდა „დასავლეთს“ (დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს“ ბაზაზე შექმნილ ნაკრებს) — 3:1 (25:16, 23:25, 25:15, 25:20). გამარჯვებულებს მთავარი პრიზი სანდრა რულოვსმა გადასცა.



გამარჯვებული გუნდი

## აფსუს, რა ფული დაიკარგა...

როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში პარიზში გაიმართა ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის ყრილობა, რომელზედაც ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ ფრანგი რენე როკი აირჩიეს, თანაც, ზედიზედ მეოთხედ. ასევე ზედიზედ მეოთხედ ფედერაციის მსაჯთა კომისიის შემადგენლობაში 27 კონკურენტიდან 9 რჩეულთა შორის მოხვდა ჩვენი ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო მსაჯი **მორის სახვაძე**.

ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ფიასკო განიცადა რუსეთის კანდიდატურამ, წარსულში საშუალო დონის მოფარიკავემ, ამჟამად რუსული ბიზნესის ოლიგარქმა, წარმოშობით უზბეკმა **ალიშერ უსმანოვმა**.

„ლელო“ შეეცადა პირველწყაროდან მიეღო ინფორმაცია. აი, რა გვითხრა მორის სახვაძემ: „რენე როკს უდიდესი ავტორიტეტი და გავლენა აქვს პატარა ქვეყნებზე. საერთაშორისო ფედერაციის წევრი 115 ქვეყანაა, თითოეულს თითო ხმა აქვს არჩევნებზე, ქვეყნის სიდიდეს მნიშვნელობა არ ენიჭება. ფრანგმა კონკურენტს არჩევნებში სოლიდური უპირატესობით 78:30 აჯობა. არადა, უსმანოვი, რომელიც რუსეთის 15 ყველაზე მდიდარ ოლიგარქთა სათვალავში შედის, საერთაშორისო ფედერაციას დამატებით ხუთ მილიონ დოლარს პირდებოდა, კონფედერაციებს — თითო მილიონს, ეროვნულ ფედერაციებს — 15-15 ათას დოლარს წელიწადში.

დავძენთ, რომ უსმანოვი პარიზში 40-კაციანი ამალით ჩამოვიდა, რომელთა შორის მრავლად იყვნენ საერთაშორისო სამართლის ცნობილი იურისტები. მაგრამ ყრილობამ და პრეზიდენტის არჩევნებმა ისე ჩაიარა, ჩასაფრებულებმა ვერანაირი დარღვევა ვერ დააფიქსირეს.

საქ. ინფორმაცია.

## ნინოს კლუბმა პირველ ტურნირს უმასპინძლა

ნინო სალუქვაძის სახელობის ტირმა, რომელიც ახლახან გაიხსნა დედაქალაქში ჭავჭავაძის პროსპექტზე, პირველ ასპარეზობას — თბილისის ღია პირველობას უმასპინძლა. ამჯერად მასპინძლები მხოლოდ აზერბაიჯანელების მოწვევით დაკმაყოფილდნენ, რამდენიმე სპორტსმენით იყო წარმოდგენილი ბათუმი და ქუთაისი.

**ვაჟებში** პნევმატური პისტოლეტით სროლაში საუკეთესო იყო ქუთაისელი გიორგი სვანიძე, 2. ზურაბ თოთიაური, 3. მამუკა ბოსტოლანაშვილი (ორივე — თბ.); **ქალები:** 1. თამილა ასათიანი, 2. ეთერ კოზინა (ორივე — თბ.), 3. ნათია ძნელაძე (ქუთ.); **ბიჭები:** 1. სერგი ჩიტაიშვილი (თბილისი), 2. რუსლან ლუნიოვი (ბაქო), 3. ლევან ქადაგიძე (თბ.);

სპორტული პისტოლეტით ასპარეზობაში გაიმარჯვა თბილისელმა დარიკო სულაკაურმა, მეორე იყო ნიგიარ ბაგიროვა (ბაქო), მესამე — სოფიო ხარებავა (თბ.).

თავად ნინო სალუქვაძემ ტურნირში მონაწილეობიდან თავი შეიკავა. სასურველი იყო ნინო უჩაძის ხილვაც, მაგრამ ქუთაისმა თავისი რჩეული ჩუბინისთვის მოსავლინებელი თანხები ვერ გამონახა. სხვა ქუთაისელები კი დედაქალაქს საკუთარი ხარჯით ეწვივნენ.

**სურათზე:** აჯილდოებს ნინო სალუქვაძე (ფოტო რ. ბაგოიანისა)



## „ავიამშენი“ შუალედური ჩემპიონია



კალათბურთი ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

დიახ იყო, ნამდვილად იყო სტუ — „ავამშენის“ მატჩი ეროვნული ჩემპიონატის გასული ტურის ცენტრალური შეხვედრა, მეტიც — მშვენება. თანაბარძალოვანმა მეტოქეებმა ყველაფერი გააკეთეს, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა და სწორედ ამიტომ თამაშიც საინტერესო გამოდგა. შეიძლება ითქვას, მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა მწვრთნელის გონივრულმა ტაქტიკამ. ამას „ავიამშენის“ მთავარი მწვრთნელის ლევან მოსეშვილის მისამართით ვამბობთ. მან დროულად შენიშნა, რომ თავდაპირველი ტაქტიკით სტუ-ს წინააღმდეგ ფონს ვერ გავიდოდა (პირველი ორი პერიოდი სტუ-მ მოიგო 26:22 და 22:19). მოსეშვილმა ტაქტიკა მესამე პერიოდიდან რადიკალურად შეცვალა ანუ, მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ, იმან, რომ ტანდაბალი სტუდენტების შეჩერებას შეეცადა ზონალური დაცვით, არ გაამართლა. აი, შეცვლილი ტაქტიკით კი ავიამშენებლებმა სოლიდური სხვაობით მოიგეს მესამე პერიოდი 29:19, მეოთხე პერიოდში სტუ თავდაუზოგავად შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ სხვაობა ანგარიშში სასურველ დონემდე ვერ დაიყვანა. მართალია, ეს პერიოდი 1 ქულით დათმო — 24:25, მატჩი საბოლოო ჯამში სტუდენტებმა მაინც წააგეს — 91:95. ამრიგად, გათამაშების ორ ლიდერს შორის დავა „ავიამშენის“ სასარგებლოდ გადაწყდა, ისინი პირველი წრის გამარჯვებულები, ანუ „შუალედური ჩემპიონები“ გახდნენ. გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო ხოშტარია, რომელმაც თავისიანებს 26 ქულა მოუტანა, სტუდენტთაგან — ი. ბერიშვილი (23).

ვერის ბაღში, იმავე ტურში სხვა მატჩებიც გაიმართა: **თსუ-მ** ადვილად მოუგო **„ბურჯს“** 92:70 (31:18, 12:16, 19:26, 20:10). საუკეთესონი: ფანჩულიძე (თსუ) — 27; აკოლაშვილი („ბურჯი“) — 18.

**სსუ – თუჯი** — 80:86 (22:23, 23:20, 15:24, 20:19), პატარაია (სსუ) — 17; მურჯიკნელი („თუჯი“) — 23.
**მაქაბი – დინამო** — 55:91 (20:24, 16:26, 5:12, 14:25). ვაშაკიძე („მაქაბი“) — 17; ხეცურიანი („დინამო“) — 15.

**პირველი წრის საბოლოო ცხრილი**

| | თ | მ | წ | +- | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| **ავიამშენი** | 7 | 6 | 1 | +156 | 13 |
| **სტუ** | 7 | 6 | 1 | +144 | 13 |
| **დინამო** | 7 | 5 | 2 | +162 | 12 |
| **თუჯი** | 7 | 4 | 3 | +25 | 11 |
| **თსუ** | 7 | 4 | 3 | +79 | 11 |
| **მაქაბი** | 7 | 2 | 5 | -102 | 9 |

ირაკლი სარალიძე

## ამბიციების დაკმაყოფილება სხვა გზითაც შეიძლება

ტანვარჯიშულ საზეობათა ყრილობა

თუმცა ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ყრილობა გასულ ხუთშაბათს გაიმართა, „ლელო“ არ აჩქარდა, როგორც იტყვიან, ცხელ გულზე არ დააფიქსირა ყველაფერი ის, რაც მოხდა ამ ყრილობაზე. დრო განსჯისთვის დავიტოვეთ, რათა კარგად გავრკვეულიყავით ნიუანსებში, გაგვეგო ვინ არის ამ აბსურდულ სიტუაციაში შედარებით მართალი და ვინ მტყუანი — ცალ-ცალკე ხომ ყველა თავის ლეგიტიმურობას ამტკიცებს.

დავიწყოთ იმით, რომ აქამდე აღიარებული ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულმა ფედერაციამ, რომელსაც როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში სცნობენ ოფიციალურად და აქვთ მათთან საქმიანი ურთიერთობა, წესკანონის სრული შესაბამისობით ჩაატარა ყრილობა, რომელსაც 97 დელეგატიდან ესწრებოდა 70. თავისივე წესდებით, ყრილობას შეეძლო ამ შეკრებაზე გამოეცხადებინა თვითლიკვიდაცია, რითაც გზა გაეხსნებოდა „სეპარატისტებს“ შეექმნათ ახალი ან ერთიანი, ან სახეობებად (სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ბატუტი, აერობიკა, დანაწევრებული ფედერაციები ან თუ ასეთი უკვე შექმნეს ცალკეულმა ჯგუფებმა, თავი გამოეცხადებინათ იმ ფედერაციის სამართალმემკვიდრედ, რომლის შემადგენლობაში აქამდე ისინი შედიოდნენ. მაგრამ ეროვნულმა ფედერაციამ თვითლიკვიდაცია არ გამოაცხადა და სწორედაც მოიქცა — ტანვარჯიშულ სახეობათა აბსოლუტური უმრავლესობა ხომ კვლავ მის შემადგენლობაში დარჩა.

კანონი, თუ ვინმეს სურვილი აქვს, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნას არავის უკრძალავს, მაგრამ გააჩნია, ვის რა პრეტენზიები აქვს. განკერძოებული ჯგუფების მიერ

იხ. მე-3 გვ.

# ერის საყოველთაო სიჯანსაღეს საფუძველი სასწავლო დაწესებულებებში ეყრება

ჩვენ ყველას გვინდა გვყავდეს ჯანსაღი — სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული თაობა, ყველას გვსურს ვიამაყოთ ქვეყნის ყველაზე ძვირფასი საგანძურით — ერის სიჯანსაღით და მხნეობით. პროცესი ადამიანის ამ ქვეყნად მოვლენის პირველი დღიდანვე უნდა იწყებოდეს და მოიცავდეს მთელი მისი სიცოცხლის პერიოდს.

მაგრამ, ისევე როგორც წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნას, სპორტულ განათლებას საფუძველი ეყრება სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში. განუზომელია მათი პასუხისმგებლობა, ამ პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს როლის გააქტიურებით.

დღეს, „ლელოს" ამ გვერდზე წარმოდგენილი ოფიციალური მასალებით თქვენ დარწმუნდებით, რომ ხსენებული ეს სამინისტრო გრძნობს მისდამი წაყენებულ პასუხისმგებლობას და განათლების სისტემის რეფორმის პროცესში მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა მათი ყურადღების მიღმა არ რჩება. მაშ ასე:

საქართველოს მხარეებში
პრეზიდენტის რწმუნებულებს,
ქალაქების მერებსა და
რაიონების გამგებლებს,
საკრებულოების თავმჯდომარეებს

ასლი: სახელმწიფო მინისტრს
**ბ-ნ ზურაბ მელიქიშვილს**

ბატონებო,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსული წერილებიდან და პრესის ფურცლებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ადგილი აქვს განათლების სისტემის ბავშვთა-მოზარდთა კომპლექსური სასპორტო სკოლების სხვა უწყების დაქვემდებარებაში გადაცემის მცდელობას, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია.

აქვე შეგახსენებთ, რომ ქართული სპორტის შემდგომ განვითარების საქმეს, მასობრივ-სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას, მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას ძირითადად ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებში ეყრება საფუძველი, სწორედ აქ ხდება მოზარდთა სპორტული ორიენტაციის ჩამოყალიბება და შესაბამისად სათანადო რეზერვების მომზადება ე.წ. ,,დიდი სპორტისათვის''.

საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ისიც, რომ ბავშვთა-მოზარდთა რაიონული და საქალაქო სასპორტო სკოლები დღესაც წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლების, კლასგარეშე მასობრივ-სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საქმეში ხელმძღვანელობისა და მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების ავტორიტეტულ ცენტრს.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გთხოვთ არ დაუშვათ განათლების სისტემის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების სხვა უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის გადაცემის არც ერთი პრეცედენტი და მათი რეორგანიზება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

პატივისცემით,

**მინისტრი**
**ალექსანდრე ლომაია**

* * *

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის**
**ბრძანება №254**

2004 წ. 10 11
ქ. თბილისი

**საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების რთული და მრავალმხრივი პროცესების ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ერის გაჯანსაღების, მოზარდი თაობის ფიზიკური წრთობის, მათი მხედრული მომზადების, მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში სასწავლო დაწესებულებებში სათანადო დონეზე არ დგას ფიზიკური აღზრდის სწავლების მიმდინარეობა.

საქართველოს მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული სათანადო წესრიგი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და კლასგარეშე მასობრივ-სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში.

არსებული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

**ვბრძანებ:**

1. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს:

— შეისწავლონ სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლე-ახალგაზრდობათა ფიზიკური აღზრდისა და კლასგარეშე მასობრივ-სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ამ მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ წერილობით აცნობონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2004 წლის 25 დეკემბრამდე.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვთა-მოზარდთა ცენტრალურ კომპლექსურ სასპორტო სკოლას:

— შეიმუშაონ და 2004 წლის 25 დეკემბრამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოადგინონ დასამტკიცებლად ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებებისათვის მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის პროგრამები ფიზიკური განვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით;

— იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასპორტო სკოლის წესდების მე-2 თავის მე-4 მუხლის შესაბამისად, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მიამაგრონ სპეციალისტი თანამშრომლები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და კლასგარეშე მასობრივ-სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაზე კონტროლისა და მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს ბ-ნ თემურ სამადაშვილს.

**მინისტრი**
**ალექსანდრე ლომაია**

# გამოძახილი

**წერილი გაზეთ „ლელოს" რედაქციას**

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს 11 ბავშვთა — მოზარდთა სპეციალიზებული ცენტრალური სასპორტო სკოლა.

1999 წლამდე აღნიშნული სკოლების დაფინანსება ხდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან ცალ-ცალკე სკოლების მიხედვით.

1999-2000 წლებში აღნიშნული სკოლები დაფინანსდნენ განათლების სამინისტროსათვის დამტკიცებული ორი მიზნობრივი პროგრამით:

1. ,,მოსწავლეთა სპორტული აღზრდისა და გაჯანსაღების მიზნობრივი პროგრამა'';

2. ,,მსოფლიოს, ევროპის პირველობებსა და ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილეობის მიზნობრივი პროგრამა''. აღნიშნულ წლებში გამოყოფილ თანხებს შეეხო სეკვესტრი და საბოლოოდ სკოლებმა მიიღეს მიზერული თანხა.

სამწუხაროდ, 2001, 2002, 2003 და 2004 წლებში აღნიშნული პროგრამები, საერთოდ, არ შესულა სახელმწიფო ბიუჯეტში და სკოლები დარჩა ყოველგვარი დაფინანსების გარეშე., რის გამოც ვერ ჩატარდა სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები, საზაფხულო გამაჯანსაღებელი საბანაკო შეკრებები, რამაც ხელი შეუშალა ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებში მეცადინეობების ჩატარების ხარისხის ამაღლებას, სპორტის სახეობების შემდგომ განვითარებას, მოსწავლეთა ფიზიკურ და სულიერ გაჯანსაღებას, მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

საბედნიეროდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელების ძალისხმევით, მონდომებითა და დაინტერესებით. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები აღნიშნული სკოლების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 750000 (შვიდას ორმოცდათი ათასი) ლარი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სასპორტო სკოლების წინა წლების სახელფასო დავალიანება 230 000 ლარი მთლიანად გასტუმრებულია 2004 წლის ნოემბერში.

2004 წლის 10 ნოემბერს გამოიცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №254 ბრძანება, — **„საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"**. აღნიშნული ბრძანება დაეგზავნა აფხაზეთისა და აჭარის განათლების სამინისტროებს, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს და დაევალათ — შეისწავლონ სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლე-ახალგაზრდობათა ფიზიკური აღზრდისა და კლასგარეშე მასობრივ-სპორტულ გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ამ მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ წერილობით აცნობონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მ/წლის 25 დეკემბრამდე.

შემუშავდა აგრეთვე მინისტრის ცირკულარული წერილი საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულების, ქალაქების მერებისა და საკრებულოების სახელზე, სადაც ბატონი მინისტრი სთხოვს მათ არ დაუშვან განათლებისა და მეცნიერების სისტემის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების სხვა უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის გადაცემის არც ერთი პრეცედენტი, აგრეთვე მათი რეორგანიზება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეუთანხმებლად.

მინდა მადლობით მოვიხსენიო სამინისტროს ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის (უფროსი ბატონი დავით მამარდაშვილი) მთავარი სპეციალისტები ქ-ნი თამარი ლაბაძე და ბ-ნი გიორგი შენგელია, რომლებმაც მინისტრის მოადგილის ბ-ნ თემურ სამადაშვილის დავალებით, ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების დირექტორებსა და მთავარ ბუღალტრებს მ/წლის დეკემბერში ჩაუტარეს ტრეინინგი მიზნობრივი პროგრამების შედგენასა და ფინანსური საკითხების დასარეგულირებლად.

პატივისცემით,

**თამაზ ნათიძე,**
**სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.**

* * *

**მოხდა ისე, რომ ბევრი რამის დავიწყება, ჩვენი დღევანდელი ყოფიდან და ცალკეული ღირებულებისადმი დამოკიდებულებებიდან გამომდინარე, თავიდან გვიხდება. თქვენ წარმოიდგინეთ ფიზიკური აღზრდის, ფიზიკური მომზადების მნიშვნელობის შემეცნებაზეც ისევ იმ პოზიციებიდან გვიწევს საუბარი, როგორც ამას მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩვენი სულმნათი კლასიკოსები, მათ შორის ერის განმანათლებლები, იწყებდნენ.**

**47 წლის წინათ თბილისში პროფესორ გ. თავზიშვილის რედაქტორობით, გამოიცა პროფესორ ანტონ ხინთიბიძის წიგნი „აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში". წიგნში დიდი ადგილი ეთმობა „ფიზიკური განვითარების მნიშვნელობას ქართული ხალხური ეპოსის მიხედვით".**

**რაკი წარსულს იძულებით ვუბრუნდებით, გთავაზობთ ერთ თავს ზემოხსენებული წიგნიდან. იქნებ ჩვენი წინაპრების სიბრძნემ მაინც დაგვაფიქროს.**

# ფიზიკური განვითარების მნიშვნელობა ქართული ხალხური ეპოსის მიხედვით

როგორ უყურებდა და რა მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ხალხი თავის ეპიურ შემოქმედებაში ფიზიკურ განვითარებას და როგორ ჰქონდა მას ის წარმოდგენილი?

**ფიზიკური ძლიერების მნიშვნელობა**

მაღალი ზნეობრივი თვისებებისა და გონიერების მეშვეობით ადამიანები, ხალხის ფანტაზიით, ფიზიკურად უძლიერეს დევებსაც კი იმორჩილებენ. ,,დათვი და ხუცესის'' გმირმა დევები რკინის ულელში შაბა და სახლისაკენ გარეკა. ნაცარქექიაც კი, როგორც ვიცით, თავისი გონებრივი მოხერხებით სამარცხვინო მდგომარეობაში აყენებდა დევებს. ამირანიც იქ აღწევდა გამარჯვებას, სადაც გონიერებას და ჰკუამახვილობას იჩენდა. გონებრივობა და ზნეობრივი სისპეტაკე — აი, ის ძირითადი მხარეები, ურომლისოდაც ადამიანი დაკარგავდა თავის ხვედრით წონას.

მაგრამ რა მოუვიდოდა, მაგალითად, ამირანს, ან ,,დათვი და ხუცესის'' გმირს, რომ მათ ჰქონოდათ მხოლოდ ცოდნა, მორალი, პატიოსნება, მაგრამ მოკლებული ყოფილიყვნენ ფიზიკურ ძალღონეს და ჯანმრთელობას? ჩვენ ვიცით: ნაცარქექიამ თავისი გონებრივი მოქნილობით დევები დაამარცხა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ნაცარქექიას ფიზიკურ უძლურებას ხალხი დასცინის. ნაცარქექია არაა სრულყოფილი ადამიანი. ხალხური ეპოსის მთავარი მიზანი კი, სრულყოფილი ადამიანის შექმნაა. გონებრივად და ზნეობრივად სუსტი გმირები ადვილად მარცხდებიან, მაგრამ ხალხური ეპოსის მიხედვით, არახელსაყრელია ფიზიკურად უსუსური პერსონაჟების მდგომარეობაც. მეტიც შეგვეძლო გვეთქვა: ეპოსის მიხედვით, ფიზიკური ძალა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა გმირთა გამარჯვებისათვის. ნაცარქექიას ტიპის შექმნა მხოლოდ ერთგვარ პაროდიას წარმოადგენდა იმ ძველი წარმოდგენისა, რომელიც დევებს უძლეველობას მიაწერდა. ამ ტიპის შექმნით ხალხის ფანტაზიამ მიწასთან გაასწორა ეს უხეში ძალები. განსაკუთრებით უძველეს პერიოდებში შექმნილ ეპოსში, ე.ი. იმ პერიოდებში, როცა ხალხის ტექნიკური განვითარება მეტად დაბალი იყო, გასაგებია, რომ ხალხის ფანტაზია ადამიანის ფიზიკურ ძალებს გადამწყვეტ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდა. ამ ზღაპრებში უხეში ფიზიკური ძალების წინააღმდეგ, უდიდესი ფიზიკური ძლიერების ადამიანები მოქმედებენ. ასე, მაგალითად, ,,დათუნიას შვილის'' ზღაპრის გმირს არაერთხელ აგზავნიან ძნელი დავალებების შესასრულებლად, პირველად დევებთან საბრძოლველად, მეორედ — მზეთუნახავის მოსატაცებლად. პირველ შემთხვევაში, ზღაპრების აღნიშნულმა გმირმა უზარმაზარი ხეები ხელით გასხეპა და დევები ჯოგჯოგად მორეკა. მეორე შემთხვევაში კი, ამავე ფიზიკური ძალით, ორი ფალავანი დასცა და არა მხოლოდ მზეთუნახავი, არამედ მთელი ოჯახიც კი მორეკა.



დათუნიას შვილი, ამირანი, ივანე ცისკარი, ზარინი, მოხუცი დურგალი და ეპოსის სხვა გმირები, შრომისა და ბრძოლის პროცესში აღზრდილი და გამოწვრთნილი ადამიანებია. ამიტომაც არიან ისინი ძლიერნი, გაბედულნი. ზემოთ, ზნეობრივ აღზრდასთან დაკავშირებით, აღინიშნა ხალხის შეხედულება შრომის მნიშვნელობასა და როლზე. ზნეობრივი ადამიანი ისაა, ვინც მშრომელია. შრომა ადამიანის ფიზიკური ძლიერების უდიდესი ფაქტორია. ფიზიკური შრომა ანვითარებს მოქნილობას, კუნთებს, აწრთობს ნებისყოფასა და ხასიათს, ხდის ადამიანს გამძლედ, უმუშავებს მას წინააღმდეგობის გადალახვის უნარს. ხალხურ ეპოსში ამიტომაც დიდად არის დაფასებული ფიზიკური ძლიერება, რომელიც ვარჯიშის, შრომისა და ბრძოლის პროცესის შედეგია. ამიტომ არის, რომ ამ ეპოსის მიხედვით ის, ვინც ვაჟკაცობას გამოიჩენს, ჯილდოს ღირსია. ქართულ ხალხურ ზღაპრებში გავრცელებულია ბრძოლის წინ მოწინააღმდეგეთა შორის ერთგვარი პირობის დადების მოტივი. ,,დათუნიას შვილის'' ზღაპარში ვკითხულობთ: დათუნიას შვილსა და მის მოწინააღმდეგეს შორის, ჭიდაობის დაწყებამდე, პირობა დაიდო, რომლის მიხედვით, დათუნიას შვილს მაშინ შეეძლო მზეთუნახავის წაყვანა, თუ მოწინააღმდეგის ფალავანს წააქცევდა. ასეთი პირობა, შეიძლება ითქვას, კანონზომიერი მოვლენაა ზღაპართა გარკვეული ციკლისათვის. ეს პირობა გულისხმობს, რომ გმირებმა თავიანთი ფიზიკური უპირატესობის გამოჩენისათვის, გარკვეულ მიზანს უნდა მიაღწიონ. უფრო ხშირად, ასეთ მიზნად ზღაპრებში მზეთუნახავის ხელში ჩაგდება არის გამოცხადებული. სწორედ ამიტომ წერდა ჩვენი აკაკი წერეთელი, რომ მზეთუნახავები ისე არ გამოდიან თავიანთი კოშკებიდან და არ ნებდებიან სატრფოებს, თუ ამ უკანასკნელებმა ჭიდაობაში არ გაიმარჯვეს. თავისთავად, ეს მომენტი, ფიზიკური ძლიერების მნიშვნელობაზე მიგვითითებს. ეს მნიშვნელობა კი, ერთი შეხედვითვე ეცემა თვალში ადამიანს. ამის საილუსტრაციოდ იგივე ,,ამირანი'' ავიღოთ: ამირანმა მკვდარი ბუმბერაზის — ამბრის (მისი დედის [illegible]) ფეხის ურემზე შეგდება სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და მას ამბრის დედისაგან ასეთი საყვედური მოესმა: ,,ე, მაგის პატრონი თუ უბარებდი ამბრის მუქარას, დარეჯანიანთ ამირანო, მაგ ღონით თუ უპირებდი ჩემს შვილს შებმასო, ღმერთმა იცის, რომ შენ ამბრის ვერ ედარებოდიო''.

ამრიგად, გამოდის, რომ რაკი ამირანმა ამბრის ვეებერთელა ფეხი ვერ ასწია, ის ამბრის ,,ვერ ედარებოდა'' და, მაშასადამე, მასთან ბრძოლაში დამარცხდებოდა. იმავე ვარიანტში ვკითხულობთ: ,,გავიდა ხანი, გაიზარდა ამირანიც. ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უმძიმდა იმისი ტარებაო''. ყველაფერი ეს გასაგებია, რადგან, განსაკუთრებით, დაბალი ტექნიკური დონის პირობებში, ფიზიკური ძლიერება აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ამიტომ ხშირად, ხალხი ეპოსის გმირებს არაჩვეულებრივ ძალღონეს მიაწერს. ხშირად ისინი დაბადებიდანვე არიან გოლიათები და დღეში იმოდენას იზრდებიან, რამოდენასაც სხვები წელიწადში, წელიწადში იმოდენას, რამოდენასაც ჩვეულებრივი ადამიანები — ათ წელიწადში და ასე შემდეგ, — ,,ვინც წლით იზრდებოდა, ამირანი დღით იზრდებოდა, ასე რომ, ათის წლის ამირანს ფიცხელის ომის გარდახდა კიდევ შეეძლო''-ო, ვკითხულობთ ,,ამირანის'' სხვა ვარიანტში.

მაგრამ აქ ერთი კითხვა ისმის: რად ესაჭიროებოდა ხალხს ბუმბერაზების ისეთი უნარით დაბადება, რომ ათი წლისას ფიცხელი ომის გადახდაც კი შეძლებოდათ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოვიგონოთ, რომ ეპოსის მოწინავე გმირები ხალხის იდეალების განხორციელებისათვის იყვნენ მოწოდებულნი და მათ სამართლიანობის გამარჯვებისა და თავისი სამშობლოს ბედნიერებისათვის ესაჭიროებოდა ფიზიკურად ძლიერი თაობა.

მაშასადამე, ფიზიკური ძლიერების მნიშვნელობა იმით კი არ შემოიფარგლება, რომ გმირები თავიანთ პირად მტრებს ამარცხებდნენ, არა, პირადი მტრების — დევების, გველეშაპების, ურჩხულების, მეფეების, თავადების, ვაჭრების, მღვდლებისა და სამშობლოს მტრების სახით. ხალხი, თუმცა, ზოგჯერ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც უსამართლობას ხედავდა, რომლის დანგრევა მას წყუროდა. თავისი შესანიშნავი გმირების: ამირანის, დათვიაშვილის, და სხვ. სახით ხალხი მჩაგვრელებს უპირისპირდებოდა.

ზემოაღნიშნული გმირების ფიზიკური ძლიერება შრომისა და ბრძოლის პროცესში გამოიჭედა. მაგრამ ეს ცოტაა. მათ იმავე პროცესში მორალური წრთობაც მიიღეს. აქედან ცხადია, რომ ხალხს თავის ეპოსში ფიზიკური ძლიერება არა თვითმიზნად, არამედ ბოროტების მოსპობის იარაღად მიაჩნდა და ამაშია ამ ეპოსის ძალაც. მას მტრებად რეალური პიროვნებანი და სამშობლოს დამპყრობლები ჰყავდა წარმოდგენილი.

ამ დიადი მიზნის განხორციელების საქმეში ხალხი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ფიზიკურ განვითარებას, ჯანსაღი წინააღმდეგობის დამძლევი, სიცოცხლისუნარიანი პიროვნების მომზადებას. ფიზიკურად ასეთი მტკიცე ადამიანის გარეშე მას არ ჰქონდა გამარჯვება წარმოდგენილი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მის შემოქმედებაში სწორედ ასეთი ძალ-ღონით აღსავსე გმირები სძლევენ წინააღმდეგობებს.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №14 (28) დეკემბერი, 2004 წელი


# ქართული კარატეს გაერთიანების შედეგი

## 11-12.12.2004

## 空手道

საერთაშორისო ტურნირი კარატე დოში

KARATE-DO INTERNATIONAL TOURNAMENT

# კავკასიის თასი
# CAUCASUS CUP

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
## GEORGIAN KARATE-DO NATIONAL FEDERATION

ტრადიციული „კავკასიის თასი 2004" კიდევ ერთხელ გათამაშდა.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ძალისხმევით ჩვენი ქვეყნის ორთაბრძოლების ყველა ფედერაციამ იასპარეზა. ტურნირის მსვლელობის დროს მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ეს იყო კავკასიურ სამყაროში ქართული კარატეს კიდევ ერთი სასახელო გამარჯვება. ხუთი ქვეყნის, საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და სომხეთის ეროვნულმა ნაკრებების მონაწილეთა რაოდენობამ 800-ს გადააჭარბა. .



ბრძოლები გაიმართა სპორტული და სრული კონტაქტური წესებით, რამაც შეიძლება ითქვას, მაყურებელთა დიდი აღფრთოვანება და აზარტიც კი გამოიწვია. როგორც საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია აღნიშნავს — „რაც დრო გადის კავკასიის თასის" გათამაშება უფრო და უფრო პრესტიჟული ხდება. ამის დასტურია, მხოლოდ მონაწილე ქვეყნებისა და სპორტსმენების რაოდენობა მოწმობს — 800-ზე მეტი კარატისტი ასპარეზობს. თქვენ ხედავთ აქ თავმოყრილია კავკასიის კარატეს მთელი ელიტა, ყველა უძლიერესი სპორტსმენი ჩამოვიდა, რათა კიდევ ერთხელ დაამტკიცოს თავისი შესაძლებლობები. აქვე მინდა და შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო საქართველოს სპორტისა და კულტურის მინისტრს, ბატონ გიორგი გაბაშვილს, პარლამენტის ვიცე-სპიკერს, ბატონ მიხეილ მაჭავარიანს და თავდაცვის მინისტრს ბატონ გიორგი ბარამიძეს. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ორთაბრძოლებისა და კარატეს ფედერაციებს, კიკბოქსინგის, ხრიდოლის, ტაიკვანდოს, შოტოკანის, გოჯუ რიუს, გოჯუ კაის, ჯიუ-ჯიცუს, სორინჯი-რიუს და საერთოდ ყველა მონაწილეს".



შეჯიბრზე მოსულმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა მიხეილ მაჭავარიანმა მონაწილეებს მიმართა: „მონაწილეებო, მოგესალმებით და გისურვებთ თქვენს სპორტულ კარიერაში წარმატებას! მე მოხარული ვარ, რომ დღეს თბილისი კიდევ ერთხელ მასპინძლობს კავკასიური კარატეს სამყაროს. მოხარული ვარ კიდევ იმით, რომ კავკასიის ხალხებს ბევრი საერთო გვაქვს, მათ შორის სპორტის ისეთი ვაჟკაცური სახეობა სახეობა, როგორიცაა კარატე. მინდა მადლობა გადავუხადო პირადად ბატონ კახა ბასილიას, რომ მან შეძლო ქართული კარატეს და საერთოდ, ორთაბრძოლების სახეობების გაერთიანება შეძლო. ეს დიდი გამარჯვებაა ქართული კარატესთვის, ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის".

უნდა აღინიშნოს, რომ ორთაბრძოლები სრული სიმძაფრით მიმდინარეობდა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შესანიშნავად იასპარეზეს ლევან პარწიკანაშვილმა, ძმებმა დათო და ირაკლი ტყებუჩავებმა, ლევან გორელაშვილმა და წლევანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა ალექსანდრე ჟამურაშვილმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლია.



18 წლის ზევით კატაში, ტრადიციულად, პირველობა არავის არ დაუთმო ზურა მესხმა, ხოლო მას ფეხდაფეხ ჭაბუკა მახარაძე მიჰყვა და მეორე ადგილი დაიკავა. სენიორებში აჭარის კარატეს პრეზიდენტს, ნოდარ ხაჯიშვილს ტოლი არ ჰყავდა და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი, მეორე ადგილზე ვიაჩესლავ არუთინიანი გავიდა, ხოლო მესამე ადგილი მათზე არანაკლებმა თურქმა ოსტატმა აზიზ სახიბოლლუმ დაიკავა.

საბოლოოდ, ყველაზე მთავარი, თასის გათამაშება იყო. პირველი ადგილი და „კავკასიის თასი 2004" საქართველომ არცერთ ქვეყანას არ გაატანა, თბილისში დაგვიტოვეს, მერრე ადგილზე აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრები გავიდა, სომხეთის ნაკრები გუნდი კი ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

რაც შეხება, წლის ბოლოსთვის, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის სამომავლო გეგმებს: ქართველ კარატისტებს საშობაო ტურნირს უსაჩუქრებს, რასაც წლის საუკეთესოთა შორის, საუკეთესო, ვერცხლის კარატისტების გამოვლენა მოჰყვება.



# შედეგები

**ინდივიდუალური კუმიტე ვაჟებში**

*6-7 წელი*
I გაგა ფეხშველაშვილი
II ნიკა კოდუა
III ოთარ კორკელია
III დავით ბერაია

*8 წელი*
I ხვიჩა ჯახაია
II ივერი ნიაზაშვილი
III გიორგი ფეხშველაშვილი
III ჯაბა ჯაბახიძე

*8-9 წელი*
I შალვა ორაგველიძე
II შალვა კვერენჩხილაძე
III თორნიკე მაზანაშვილი
III დავით წიკლაური

*9 წელი*
I პაპუნა მჭედლიშვილი
II დათო დარჩია
III ანზორ მერაბიშვილი
III გიორგი ცაციაშვილი

*10 წელი*
I ლევან ხუცინაშვილი
II გიორგი გოგოლაშვილი
III ლუკა ქოჩორაშვილი
III ედემი ბერიშვილი

*10-11 წელი*
I გიორგი ღვინიაშვილი
II გენრიკ აირაპეტიანი
III გიორგი უნდილაშვილი
III ევგენ თამლიანი

*11 წელი*
I ლაშა აბრამიშვილი
II ავთო ჩულაშვილი
III ნიკა ვანიშვილი
IIIლევან საინიანი

*12 წელი*
I რეზო ელიზბარაშვილი
II თორნიკე ტყეშელაშვილი
III ნიკა აბაშიძე
III ილია ალდგომელაშვილი

*12 წელი (5-ე კიუმდე)*
I ცოტნე გულბანი
II გოჩა სოფრომაძე
III თორნიკე ნოზაძე
III საშა კოშკოვი

*13 წელი*
I გიორგი ბაბალაშვილი
II ხვთისო იმერლიშვილი
III სანდრო მაჭავარიანი
III გოგა სილაგავა

*14 წელი*
I გიორგი ქოჩორაშვილი
II მიხეილ ჩხიტუნიძე
III გარიკ მირზოევი
III ვალერ ბუთხუზი

*14 წელი (მე-4 კიუმდე)*
I ალბერტ ვოსკანიანი
II ზაზა თაბაგარი
III ხვიჩა გოგიტაშვილი
III გიორგი სივსივაძე

*15 წელი*
I მგერ ბარსეგიანი
II შოთა გუგუტიშვილი
III ჯაბა პავლიაშვილი
III ირაკლი ჩიჩუა

*15 წელი (მე-4 კიუმდე)*
I გიორგი ლიპარტელიანნი
II დიმიტრი წერეთელი
III ბესო მაჭავარიანი
III ვლადიმერ ღვინიაშვილი

*16 წელი*
I ირაკლი ქამადაძე
II გური ქოიავა
III უჩა კვარაცხელია
III გიორგი ლიპარტელიანი

*16-17 წელი*
I სერგეი მაჩკალიანი
II გიორგი ვეხიძე
III სულხან ბედინაძე
III ელდარ მინჯია

*17 წელი*
I ლევან გორელაშვილი
II ალექსანდრე ჟამურაშვილი
III დავით ტყებუჩავა
IIIბაჩანა წურწუმია

**აბსოლუტური**

*-75 კგ.*
I ლევან გორელაშვილი
II თემურ ხოხაშვილი
III თემურ მეგრელიშვილი
III ვუსალ რუბახში

*-65 კგ.*
I დათო ტყებუჩავა
II ლევან ლომიძე
III რომან ფუტკარაძე
III ბექა ხმალაძე

**კონტაქტური კუმიტე**

*-65 კგ.*
I ლევან შაიშმელაშვილი
II ვლადიკ რომანოვი
III მიხეილ წიკლაური
III ბაკურ შონია

*-80 კგ.*
I ნოშრევან წურწუმია
II გიორგი ტატუაშვილი
III თემურ ხოხოაშვილი
III ირაკლი ტყებუჩავა

**+18 წელი**

*-75 კგ.*
I გოჩა სამხარაძე
II ბადრი ლომიძე
III დათო ჯღარკავა

*-85 კგ.*
I ლევან პარწიკანაშვილი
II დავით ესვანჯია
III ნუკრი შარიძე
III გივი ყანჩაველი

*+80 კგ.*
I ალექსანდრე ჟამურაშვილი
II ილგარ ბაგიროვი
III ილგარ იბრაგიმოვი
III გორ გალეჩიანი

**კატა**

*10 წელი*
I ირაკლი კირკიტაძე
II ხვიჩა ჯახაია
III ლევან ხუცინაშვილი
III ედემი ალეკბეროვი
I აელქსი აფციაური
II ალექსი გოგოლაშვილი
III გიზო ზაქარაია
III ედემი ბერიშვილი

*11-12-13 წელი*
I ჰენრი ვეკუა
II თენგიზ კვერცხიშვილი
III გიორგი ყურაშვილი
III ლევან გვაზ:რია

*14-15-16 წელი*
I გიგა ნაცვლიშვილი
II გური ქოიავა
III გიორგი ჩხაიძე
III გიორგი ბეგოიძე

**კატა**

*+18 წელი*
I ზურა მესხი
II ჭაბუკა მახარაძე
III ბექა ხმალაძე
III თარლან იუნისვი

**სენიორები**
I ნოდარ ხაჯიშვილი
II ვიაჩესლავ არუთინიანი
III აზიზ სახიბოლლი

**გოგონები კუმიტე**

*9 წელი*
I თინიკო ორაგველიძე
II ქეთი ორაგველიძე
III ნინო ნადარაია
III ანა გელაჭეიშვილი

*11 წელი*
I ნონა მერაბიშვილი
II ანანო ქოიავა
III თათია თურქია
III ნუცა ქობალავა

*12 წელი*
I ანა თავაძე
II ნათია ნოდია
III ნათია როსებაშვილი
III ჟანა დერბოიანი

*13 წელი*
I მაია თაყაძე
II ნინო პატაშური
III ნათია სულამანიძე
III თამილა ქობულაძე

*15 წელი*
I ქეთინო გოგბერაშვილი
II ჟანა ჭუბაბრია
III ნათია თურქია
III ხატია კაველიძე

*16 წელი*
I ეთერ ვავაშელი
II მადონა გურგენაძე

*+18 წელი*
I შორენა შენგელაია
II მეგი ხორავა
III ქეთინო გოგბერაშვილი
III ინგა მამალაძე

**კატა**

*14-15-16 წელი*
I ქეთინო გოგბერაშვილი
II ეთერ გავაშელი
III ნათია თურქია
III შოლიკ მოვსესიანი

*+18 წელი*
I ჟანა ჭუბაბრია
II ქეთინო გოგბერაშვილი
III შორენა შენგელია
III მეგი ხორავა

**ნუგზარ ქიაბერაშვილი — საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი.**

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში, სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში, ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით, ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით,
ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.
მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89. WWW.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი
空手道

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# გურამ აბსანძე: „კიდევ უფრო ავაღორძინოთ საჭადრაკო მოძრაობა საქართველოში“

გუშინ, ჭადრაკის სასახლეში, გაიმართა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის სახელმწიფო მინისტრის ბატონი გურამ აბსანძის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია. საარჩევნო პროგრამას ქვემოთ გთავაზობთ:

– პირველ რიგში - სათანადო დონეზე უნდა ავიყვანოთ ეროვნული ჩემპიონატები. გავზარდოთ საპრიზო ფონდი. წინასწარ უნდა შევიმუშაოთ ისეთი დებულება, რომელიც საშუალებას მისცემს მოჭადრაკეებს შეასრულონ დიდოსტატის ნორმა, ხოლო ჩემპიონი აუცილებლად უნდა მოხვდეს ეროვნულ ნაკრებში. ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში, ვპირდები ჩემპიონებსა და პრიზიორებს, რომ ფედერაცია სრულად დააფინანსებს მათ მონაწილეობას ევროპის პირად ჩემპიონატზე, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. ფედერაცია დააფინანსებს მსოფლიოს პირად პირველობაზე გასულ მოჭადრაკეებს;

– ობიექტურად დაკომპლექტდება საქართველოს ეროვნული ნაკრები და მოხდება ნაკრების წევრთა მაღალ დონეზე მომზადება. სახელმწიფო მწვრთნელებს ექნებათ სოლიდური ხელფასი და კომპიუტერული უზრუნველყოფა. მოჭადრაკეები მიიღებენ ჰონორარებს და წარმატების შემთხვევაში – პრემიებს. ეროვნული ნაკრების წევრებსა და კანდიდატებს შეექმნებათ ოპტიმალური პირობები. და უზრუნველყოფილი იქნებიან საერთაშორისო ტურნირებით;

– ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში სრულად დაფინანსდება ევროპის და მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებში ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეების მონაწილეობა. გუნდს აუცილებლად გაჰყვება კონკურსის წესით არჩეული მწვრთნელი და ფედერაციის წარმომადგენელი;

– საპრიზო ფონდით ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატები ვეტერანთა შორის და საჭადრაკო კომპოზიციაში;

– საქართველოს ჩემპიონებს ვეტერანთა შორის საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ევროპის და მსოფლიოს პირველობებზე;

– ჩავატარებთ საერთაშორისო კონკურსს ეტიუდებისა და ამოცანების შედგენაში სოლიდური საპრიზო ფონდით;

– საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მუშაობაში პირველად, ქართველ მსაჯთა კორპუსის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გავმართავთ სამსაჯო სემინარებს და გავცემთ სერტიფიკატებს. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში დაგვეხმარებიან გამოცდილი საერთაშორისო არბიტრები - თენგიზ გიორგაძე და ევგენი მელიქსეტოვი;

– ასევე პირველად შემოღებული იქნება ვ. ქარსელაძისა და შ. ინწკირველის სახელობის პრემიები წარმატებული მწვრთნელებისათვის და წლის ბოლოს საზეიმო ვითარებაში მოხდება მათი დაჯილდოება.

– პირველად, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია დააფინანსებს 26 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მოჭადრაკეებს, რომლებიც მოიაზრებიან ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებად;

– ნორჩ მოჭადრაკეთა შორის გავმართავთ გრან-პრის გათამაშებას სახელწოდებით „მომავალი ვარსკვლავი“. შესარჩევი ტურნირები გაიმართება რეგიონებში, ფინალი კი – თბილისში;

– პირველად ამოქმედდება ღვაწლმოსილი მოჭადრაკეებისა და სოციალური უზრუნველყოფის ფონდი;



გურამ აბსანძე

– დამყარდება მჭიდრო კავშირი რეგიონებთან. ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ამოქმედდება რეგიონების დახმარების პროგრამა, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკეთა წახალისებას, განვითარებადი რეგიონების დახმარებას და მათი საჭადრაკო ლიტერატურით მომარაგებას. ამავდროულად აღიძრება საკითხი რეგიონალური ფედერაციების კუთვნილი ქონების დასაბრუნებლად;

– ფედერაცია დაიწყებს საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთების გამოშვებას და დაფინანსებას. შეიქმნება ძლიერი პრესსამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მასმედიასთან მჭიდრო და საჯარო კავშირს, რისი გაკეთებაც დღემდე ვერ მოხერხდა. იმუშავებს ვებ-გვერდი;

– კიდევ უფრო დაიხვეწება და შევსება ახალი ტექნიკით, კომპიუტერული ცენტრით, სადაც მოჭადრაკეებს საშუალება ექნებათ ინტერნეტით მიიღონ საჭირო ინფორმაცია და მონაწილეობა მიიღონ ინტერნეტით გამართულ ტურნირებში;

– ფედერაცია ხელს შეუწყობს კერძო სტრუქტურებს საჭადრაკო კლუბების დაფუძნებაში. საკლუბო მოძრაობა კი შექმნის ფინანსური ანაზღაურების ახალ წყაროს. დახმარებას გაგვიწევს პროფესიონალი მოჭადრაკეების აღზრდაში;

– გაიზრდება ეროვნული ნაკრების წევრების, კანდიდატების, წამყვანი დიდოსტატების, ნაკრების მწვრთნელების, ჩემპიონების და ფედერაციის მუშაკთა ანაზღაურება;

– უნდა აღდგეს ძველი ტრადიცია და განახლდეს ამხანაგური მატჩები მეზობელ ქვეყნებთან დევიზით: „მშვიდობიანი კავკასია“;

– მოიზიდება სპონსორები, რათა შესაძლებელი გახდეს ფინანსური პრობლემების მოგვარება.

– ჭადრაკის სასახლეს, რომელიც ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის სახელს ატარებს, დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია და იგი ფედერაციის ოფისის როლს ასრულებს. უნდა აღდგეს ძველი ტრადიცია, უნდა იმართებოდეს ყოველკვირეული ტურნირები. სასახლის შემოსავალი სრულად უნდა ხმარდებოდეს - ჭადრაკის სასახლის თანამშრომლების ხელფასს, სასახლის აღდგენას, გალამაზებას, ინვენტარის შეძენას. უნდა აღდგეს ლექცია-სეანსების ინსტიტუტი. კომპეტენტურ ხაზინადართან ერთად ვიმუშავებთ ჭადრაკის სასახლის ვალების გასარკვევად. ყველაფერს გავაკეთებთ ფინანსური კრიზისიდან ჭადრაკის სასახლის გამოსაყვანად, რაც მთელი საჭადრაკო სამყაროს გამარჯვება იქნება.

– ვიმედოვნებ, არჩევნების შემდეგ ვნებათა ღელვა დაცხრება, ფედერაციასა და ჭადრაკის სასახლეში შეიქმნება ნორმალური სამუშაო ატმოსფერო. დაისადგურებს სიმშვიდე, ყველამ უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმე, რათა კიდევ უფრო ავაღორძინოთ საჭადრაკო მოძრაობა საქართველოში. არჩევნების წინ შეიძლება ვინმე განაწყენდეს, სურვილი მაქვს დავდგეთ ჩვენს თავზე მაღლა, მივაღწიოთ საერთო თანხმობას. მე კი ყველაფერს გავაკეთებ თითოეული თქვენგანის საკეთილდღეოდ.

ამის შემდეგ გურამ აბსანძემ შეკითხვებს უპასუხა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ ის სრულად ეთანხმება წარმოდგენილ საარჩევნო პროგრამას და საკუთარი კანდიდატურა ბატონი გურამ აბსანძის სასარგებლოდ მოხსნა.

# ქუთაისში საწყლოსნო სპორტის წარსულიდან

1986 წლის ნოემბრის პირველ დეკადაში სოხუმმა უმასპინძლა ახალგაზრდა წყალბურთელთა საქალაქთაშორისო ტურნირს, სადაც თავი ისახელეს ქუთაისელმა დინამოელებმა. მათ დაამარცხეს სოჭის, ერევნის და მასპინძელთა ძლიერი კოლექტივები. რა თქმა უნდა, პირველი ადგილი დაძაბულ ბრძოლებში იქნა მოპოვებული.

ახალგაზრდა დინამოელებმა ასევე წარმატებით იასპარეზეს ცოტა უფრო გვიან კისლოვოდსკში გამართულ წყალბურთელთა დიდ საკავშირო ტურნირზე, სადაც პირველი ადგილი და გარდამავალი თასი დაისაკუთრეს. გუნდის წარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს რევაზ ჩომახიძემ, არჩილ თვალავაძემ, მ. ტყაბლაძემ, გ. კაკიტაძემ, კ. გაბრიჩიძემ და სხვებმა. ქების ღირსია გუნდის მწვრთნელები გიორგი ქუთათელაძე და ვახტანგ ჟორდანია.

1987 წლის დასაწყისში მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა ცნობილი წყალბურთელი და მოცურავე ალეკო გიორგაძე, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით იცავდა თბილისის „დინამოს“ ღირსებას. მართალია, ის განათლებით ინჟინერი იყო, მაგრამ გული სპორტისაკენ მიუწევდა და გადაწყვიტა გიორგი ქუთათელაძესთან ერთად წყალბურთის ახალი გუნდი შეექმნა. იყო დიდი სიძნელეებიც, პრობლემების სიმრავლე, მაგრამ ლითოფონის ქარხნის მაშინდელი ხელმძღვანელობა მხარში ამოუდგა საქმის ენთუზიასტებს და მათ საწარმოს აუზიც დაუთმეს. ასე დაიწყო ახალგაზრდული წყალბურთელთა გუნდის „ქიმიკოსის“ სპორტული ცხოვრება. სულ რაღაც რამდენიმე თვეში ქუთაისელებმა რესპუბლიკურ სარბიელზე იასპარეზეს და პირველი სენსაციის ავტორებიც შეიქმნენ — რესპუბლიკის უძლიერეს გუნდებთან ჭიდილში ქუთაისელებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს.



„ქიმიკოსი“ ძირითადად დაკომპლექტებული იყო ქუთაისის საშუალო სკოლების მოსწავლეებით და ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებით. რაც მთავარია, სერგო ქვათარაძე, კალისტრატე ხარჩილავა, გიგა კაკატაძე, რევაზ ჩომახიძე, ბებური ნამჩევაძე, კახა ბერია, ბადრი რობაქიძე, ავთანდილ დარახველიძე, მამუკა ტყაბლაძე, არჩილ თვალავაძე, ზაზა ხოჯავა, ნუგზარ ხურციძე, ჰამლეტ კულუბეგაშვილი, დავით ფანჩულიძე, დავით დავითაშვილი, გია ბუგიანიშვილი და სხვები, საყურებლად ლამაზ და შემტევ წყალბურთს თამაშობდნენ.

ყველაზე დიდ წარმატებას ქუთაისელმა წყალბურთელებმა საქართველოს მეათე საგაზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ წყალბურთელთა ტურნირზე მიაღწიეს, რომელთაც 1990 წლის ივნისის მეორე ნახევარში აჭარის დედაქალაქმა უმასპინძლა.

ბათუმში საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდნენ აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის გუნდები. ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა. ქუთაისელმა წყალბურთელებმა ოთხივე შეხვედრა მაღალ დონეზე წარმართეს. მათ დამაჯერებლად დაამარცხეს აჭარის გუნდი 14:6, აფხაზეთის — 6:2, თბილისის — 18:10, რუსთავის — 11:6. მეორე ადგილზე ამ ტურში თბილისის გუნდი გავიდა.

ქუთაისის ნაკრების ღირსებას იცავდნენ: არჩილ თვალავაძე, ლაშა ყუფარაძე, გიგა კაკიტაძე, მამუკა ტყაბლაძე, ალეკო ლანჩავა, ნოდარ ჩხარტიშვილი და სხვები.

საინტერესოა ქართული წყალბურთის პატრიარქის ვლადიმერ ბარნაბიშვილის მოსაზრება გამარჯვებული გუნდის შესახებ. იგი აღნიშნავდა, რომ ასეთი კარგი თამაში, რომელიც ქუთაისის გუნდმა აჩვენა, ჯერ არ ენახა, რაც მწვრთნელების გიორგი ქუთათელაძის და მურმან ფილიას დამსახურება იყო.

იმ პერიოდში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე საქართველოს „დინამოს“ გუნდის ღირსებას რევაზ ჩომახიძესთან ერთად თანაქალაქელები არჩილ თვალავაძე და არჩილ ხოჯავაც იცავდნენ. მართალია, საქართველოს გუნდმა მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ ქუთაისელი სამეულის მაღალ ოსტატობას.

1991 წელს რევაზ ჩომახიძემ ევროპის ორი ჩემპიონატი მოიგო სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდებს შორის და ოქროს ორი მედალი დაიმსახურა. შემდეგ, ერთხანს იტალიაში ასპარეზობდა,. უფრო მოგვიანებით — ხორვატიაში, ხოლო ამჟამად რუსეთში მოღვაწეობს. იგი ბოლო სამი ოლიმპიადის ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების (2) მფლობელია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქუთაისის ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპორტული სკოლის წყალბურთელების მიღწევები. თუნდაც ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე სპორტის ოსტატები ნოდარ ჩხარტიშვილი და ოთარ პატარიძე, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ წყალბურთელთა ნაკრები გუნდის წევრები იყვნენ, თავისთავად მრავლის მთქმელია. აღნიშნულ სკოლას ეამაყება, რომ მისი აღზრდილები სპორტის ოსტატები მიხეილ ფანჩულიძე, მიხეილ ლომთაძე, მირზა და ბესიკ გოგიშვილები, თემურ პატარიძე და სხვები, წარმატებით ასპარეზობდნენ წყალბურთელთა სხვადასხვა რანგის ტურნირებში.

ქუთაისელ ნიჩბოსნების დებიუტი 60-იან წლებში შედგა რესპუბლიკურ სარბიელზე.

1965 წელს თბილისში ჩატარებულ აკადემიურ ნიჩბოსანთა საქართველოს პირად პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს ქუთაისელმა ნიჩბოსნებმა. გუნდური პირველი ადგილი მცხეთელებს ხვდათ წილად. მეორე ადგილზე გავიდა თბილისის გუნდი. მესამე ადგილი კი ჩვენი ქალაქის ახალგაზრდულ კოლექტივს ხვდა წილად.

ქუთაისელი სპორსტმენებს არც პირად შეჯიბრებაში შეურცხვენიათ თავი. ოთხადგილიანი ნავით მ. სულაქველიძემ, ა. გოგლიჩიძემ, ე. სინატაშვილმა, ბ. ბრეგაძემ, მცხეთელი სპორტის ოსტატების შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს და უფლება მოიპოვეს დაეცვათ საქართველოს სპორტული ღირსება საკავშირო პირველობაზე.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ჩვენი ქალაქის ჭაბუკი ნიჩბოსნების წარმატებამ. ორადგილიან წყილმოსასმელიან ნავზე უძლიერესები იყვნენ ქუთაისელი ჭაბუკები ს. ლარინი, ა. მეშველიანი, ოთხადგილიან ნავზე მესაჭით ა. ქორქოლიანმა, ზ. ჩიხლაძემ, ო. სილაგაძემ, ბ. ქობულაძემ, ა. ბენიძემ (მესაჭე) პირველი ადგილი არავის დაუთმეს. ასევე უძლიერესი იყვნენ რვაადგილიან ნავზე ვ. მანაგაძე, თ. ხაჰაპურიძე, ა. ქორქოლიანი, ზ. ჩიხლაძე, თ. სილაგაძე, ბ. ქობულაძე, მ. სულაქველიძე, ბ. ბრეგაძე, ა. ბენიძე (მესაჭე).

წლების მანძილზე რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებზე წარმატებით ასპარეზობდნენ გრიგოლ გიორგობიანი, მამუკა ჩოგოვაძე, კახა გაბიძაშვილი, გელა კიკოლაშვილი, პაპუნა სვანიძე, თეიმურაზ საბადაშვილი, გია წიეწივაძე, აკაკი ფესტვენიძე, ნოდარ ჩაგიაშვილი.

**ზურაბ ჯავახაძე, ქუთაისი.**

(დასაწყ. იხ. „ლელოს“ №97-98. გაგრძელება იქნება.)

# ამბიციების დაკმაყოფილება სხვა გზითაც შეიძლება

პირველი გვერდიდან

ცალ-ცალკე შექმნილი ფედერაციების ლეგიტიმურობა ჯერჯერობით მის დამფუძნებელთა იქით არ მიდის და ვერც წავა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მათთან ურთიერთობას ეროვნული ფედერაციის სტატუსის დონეზე არც ჩვენი ქვეყნის სპორტული ორგანიზაციები და არც საერთაშორისო ორგანიზაციები არ მოისურვებენ. იქ ხომ იმას აღიარებენ, ვისაც ქვეყანაში სცნობენ ეროვნულ ფედერაციად. ასე რომ, ყველაფერი არც ისე იოლად გამოიყურება, როგორც ამას თავდაჯერებული ჯგუფები ხედავენ.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ კანონი უფლებას ყველას აძლევს შექმნან ესა თუ ის გაერთიანება. თქვე კარგო ადამიანებო, თუ მართლა საქართველოში ტანვარჯიშულ სპორტის სახეობათა კეთილდღეობა გამოძრავებთ, შექმენით კლუბი, მოზიდეთ რამდენიც გნებავთ სპონსორები და გაშალეთ მუშაობა, განა ეს არ არის საკმარისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად? რაღა ღია კარს ამტვრევთ. ალბათ, ძალიან მწყრალად უნდა იყო პირად პასუხისმგებლობასთან, რომ იქ, სადაც შენც რაღაც მოგეკითხება, სხვას გადააბრალო ყველაფერი. ეს ხალხი თურმე მთელი 12 წელიწადი „მალავდა პირს“, მთელი 12 წელიწადი ჩასაფრებაში გაუტარებიათ, რომ მერე ეთქვათ ყველაფერი, ეთქვათ მაშინ, როცა სათავისოდ გამოჰკრავდნენ ხელს სარგებელს და არა მაშინ, როცა შეცდომა შეიძლება სხვას გამოესწორებინა. ახლა იმას ქადაგებენ, ჩვენს გარდა საქმეს ვეღარავინ უშველისო, თანაც, ერთმანეთშიც ვეღარ გამოუნახავთ საერთოენა და დაქსაქსულან — რამდენი ტანვარჯიშული სახეობაცაა, იმდენი ფედერაცია შეუქმნიათ, მალე ალბათ ვაჟების და ქალების სპორტულ ტანვარჯიშადაც გაიყოფიან. ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ ეს ხალხი ამბიციურად ითხოვს აღიარებას და არალეგიტიმურად თვლიან ერთიან ფედერაციას, რომელიც კანონიერად აგრძელებს თავის ფუნქციონირებას უმრავლესობის მხარდაჭერით. სასაცილოა, როცა საჯარო განცხადებებსაც არ ერიდებიან. თურმე სეოკ-ს მხარი არ უნდა დაეჭირა სეოკ-ის მიერვე დიდი ხნის წინათ აღიარებული ფედერაციისთვის, თურმე **რუსუდან სიხარულიძე** არ უნდა აერჩიათ ფედერაციის პრეზიდენტად. ბოდიშით, მაგრამ ზღვარგადასულ თავხედობასთან ხომ არ გვაქვს საქმე? ვინც რუსუდან სიხარულიძის სახელის ჩრდილის მიყენებას ლამობს, იმის მესედი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს გაკეთებული, რა წვლილიც ამ დიდებულ ქალბატონს მიუძღვის ქართული სპორტის წინაშე.

რა გააკეთა ვიცე-პრეზიდენტობის დროსო — აცხადებენ ნიშნის მოგებით. ჩვენ ვეკითხებით, — თქვენ რაღა გააკეთეთ? თუნდაც ერთხელ, თუნდაც ფედერაციის ყრილობაზე, თუნდაც საჯაროდ პრესაში, აქამდე რატომ არ გაგიჩნდათ სურვილი მიგეთითებინათ ფედერაციისთვის, თუნდაც პირადად რუსუდან სიხარულიძისთვის ნაკლოვანებებზე. არა, ასეთი რამ არ ყოფილა, იმიტომ, რომ დუმილს არ თვლიდით დანაშაულად, იმიტომ, რომ ახლა სხვა დრო დადგა და სხვანაირი გაგეხსნათ მადა. არ არის ეს მოსაწონი საქციელი და ვინც მოგიწონებთ, ღმერთმა თქვენც ხელი მოგიმართოთ და იმათაც.

და მაინც, ეროვნული ფედერაციის ყრილობაზე ახალარჩეულმა პრეზიდენტმა, წარსულში სახელოვანმა ტანმოვარჯიშემ რუსუდან სიხარულიძემ თავის სამოქმედო პროგრამაში ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახა ცალკე ჯგუფების მიერ გამოყოფილ ფედერაციებად დაქსაქსული ტანვარჯიშის სამყაროს გაერთიანება. ასეც იქნება, რადგან, სადაც უმრავლესობაა, იქაა კანონიც.

რუსუდან სიხარულიძის წინადადებით ფედერაციის შემადგენლობა განისაზღვრა 21 წევრის შემადგენლობით. განისაზღვრა კვოტაც: იმერეთის, აჭარის და თბილისის რეგიონული ფედერაციების პრეზიდენტები, სპორტული სკოლების ხუთი დირექტორი, ამდენივე ვიცე-პრეზიდენტი, ექვსი უფროსი მწვრთნელი (სახეობების მიხედვით) და ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი **მზია ჯუღელი.**

ყრილობაზე პრეზიდენტობის კანდიდატად რ. სიხარულიძის გარდა ამ პოსტის მაძიებელი კიდევ ორი მსურველი გამოცხადდა — **პაატა შამუგია** და **დავით კაჭარავა.** შამუგიამ თავისი კანდიდატურა თავიდანვე მოხსნა რ. სიხარულიძის სასარგებლოდ. დ. კაჭარავამ კი ამის შესახებ მას შემდეგ განაცხადა, როცა თავისი ხედვა დააფიქსირა ტანვარჯიშული სახეობების მომავალთან დაკავშირებით და ის იყო, კენჭისყრას უნდა შესდგომოდნენ. ამრიგად, რ. სიხარულიძე ულტერნატივოდ დარჩა და ერთხმად აირჩიეს კიდეც პრეზიდენტად.

**მიმომხილველი**

## რაგბი: ეროვნული ჩემპიონატი

# «აკადემია» საჩემპიონო ფინალში



დაიწყო ფლეი ოფის მატჩები. პირველ წრეში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები „ლელო“ — „აკადემია“. ლელოელებმა ამ შეხვედრაში შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინეს, რაშიაც „ბრალი“, ცხადია, „აკადემიის“ თავდადებულ თამაშსაც მიუძღვის. ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში „ლელო“ კი გააქტიურდა, მაგრამ სასურველი ტემპი ვერ შეინარჩუნა, რაც მთავარია, ანგარიში ვერ შეცვალა თავის სასარგებლოდ. საბოლოოდ „აკადემიამ“ გაიმარჯვა — 9:6. ამ წარმატებით „აკადემია“ პირველი გავიდა საჩემპიონო ფინალში. „ლელოს“ შანსი არ დაუკარგავს — 16 დეკემბერს ეს გუნდი წინასწარ ფინალში ბათუმის „დათვებს“ მიიღებს და წარმატების შემთხვევაში, დეკემბრის მესამე დეკადაში გადამწყვეტ შეხვედრაში, ისევ „აკადემიას“ დაუპირისპირდება.

„დათვებმა“ სძლიეს „ყოჩებს“ 27:12.

# გასწორება

„ლელოს“ 96-ე ნომერში მე-2 გვერდზე გამოქვეყნებული მასალის სათაური უნდა იკითხებოდეს: „გურამ სალარაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში კადეტებს (1990-1991 წ.წ.) შორის. ამბროლაური“.

# აბაშიძე უხმაუროდ წავიდა, მაგრამ...

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე

სფფ-ს პარასკევის აღმასკომის სხდომას თითქოს, სკანდალით და ჩოჩქოლით უნდა ჩაევლო, მაგრამ არაფერი მსგავსი არ მომხდარა. სფფ-ს მესვეურებმა ყველა წესის დაცვით და იურიდიულად გამართულად წარმართეს სხდომა და ყოფილმა გენმდივანმა ანდრია აბაშიძემაც აღარ წარუდგინა თავისი პრეტენზიები აღმასკომის წევრებს. თუმცა, აზრის გამოთქმის და თვალსაზრისის წარმოჩენის უფლება მას ჰქონდა. აღმასკომმა წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება აბაშიძის სფფ-ს გენმდივნობის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გააუქმა, მაგრამ თავად აბაშიძემ გააკეთა განცხადება გადაგომის შესახებ და სხდომა მალევე დატოვა. თუმცა, სფფ-ს კიბესთან მომლოდინე ჟურნალისტებს ფედერაციის თავკაცთა „კომპრომატის" დამადასტურებელი დოკუმენტები მაინც გადასცა. აბაშიძე ჩუმად წავიდა, მაგრამ მისი წასვლა ზურგს უკან ქმედებას და საკუთარი, თუნდაც ვარაუდის გავრცელების სურვილს ჰგავს. აღმასკომმა პირადი განცხადების საფუძველზე ფეხბურთიდან საერთოდ წასული აბაშიძის შენობიდან გასვლის შემდეგ მუშაობა განაგრძო და რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. სფფ-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტის, გენმდივნის თანამდებობაზე დამტკიცდა ვალერი ჩოლარია. დამტკიცდა სფფ-ს 2004 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში, სტრუქტურა და საშტატო განრიგი. აღმასკომმა დაადგინა სფფ-ს მორიგი ყრილობის თარიღი — 2005 წლის 9 თებერვალი, მხარი დაუჭირა სამაისო ყრილობის დღის წესრიგს; განხილული და მიღებულია საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების სისტემის დირექტიული ორგანოების ყოველწლიური ატესტაციის შედეგები.



მათი გზები სფფ-ში ახლა უკვე საბოლოოდ გაიყარა

აღმასკომზე დამტკიცდა ეროვნული პირველობის უმაღლესი ლიგის მესამე და მეოთხე წრის, ასევე პირველი ლიგის მეორე წრის კალენდრები. სხდომის დამთავრების შემდეგ, პრესკონფერენციაზე ვალერი ჩოლარიამ მასმედიას წარუდგინა სფფ-ს ახალი პრესატაშე ლევან სალუქვაძე. იგი ამავე დროს, თბილისის „დინამოს" პრესატაშეა და ფეხბურთის ფედერაციაში შეთავსებით იმუშავებს. პრესსამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულებას ლევან სალუქვაძე ოფიციალურად 2005 წლის 1 იანვრიდან შეუდგება.

# შეფურთხებისა და სროლის შედეგი

წლეულს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შესარჩევ მატჩებს, სამწუხაროდ, ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია.. რამდენჯერმე დაისაჯნენ ფეხბურთელები და ახლა მათ სტადიონიც მიჰყვა. ნაკრების ნახევარმცველს კახა ალადაშვილს უკრაინელებთან შეხვედრისას მსაჯის შეფურთხება რომ ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით შეუფასეს, ცნობილია. უეფამ, არც სფფ-ს, არც თბილისის „დინამოს" აპელაცია არ გაიზიარა და თავისი ადრინდელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. კახა ექვსი თვით ვერც საერთაშორისო, ვერც ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში ვერ იასპარეზებს.

რაც შეეხება დანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრაში მომხდარ ფაქტს, ანუ მატჩის მსვლელობისას და შემდეგ გულშემატკივართა მიერ სტუმარი ფეხბურთელების მისამართით ბოთლების სროლასაც, უეფას სანქცია მოჰყვა. თუმცა, უეფამ სფფ-ს აპელაცია ნაწილობრივ გაიზიარა და ფულადი ჯარიმა აღარ დაგვაკისრა, რადგან მაყურებელთა განრისხება დანიის ნაკრების ფეხბურთელთა ქცევამ, კერძოდ, სტადიონზე მოშარდვამ და სხვა პროვაკაციულმა ქმედებებმა განაპირობა. უეფას სანქცია კი იმაში გამოიხატა, რომ მომდევნო ოფიციალურ მატჩს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები უმაყურებლოდ, სტადიონის ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაატარებს.

# საქართველო — ლიტვა

## ადრეული დასაწყისი, ლიტვა სამით მოდის

საქართველოში საფეხბურთო სეზონი უჩვეულოდ ადრე, 8 თებერვალს, სანაკრებო მატჩით განახლდება. გუშინ, ლიტვის ფეხბურთის ფედერაციას სფფ-მ საბოლოო თანხმობა გაუგზავნა და ბალტიისპირელები თბილისში თებერვლის პირველ ორშაბათს სამი გუნდით გვეწვევიან. სავარაუდოდ, 8 თებერვალს, საქართველოსა და ლიტვის 19 წლამდელების ნაკრებები გავლენ მინდორზე.

9 თებერვალს, დილით, სფფ-ს VIII ყრილობა გაიმართება. მერე ნაკრებები ჯერიც დადგება. ჯერ, ახალგაზრდული გუნდები შეერკინებიან ურთიერთს. ხოლო მოგვიანებით საქართველო — ლიტვის ამხანაგურ საფეხბურთო პაექრობას ეროვნულ ნაკრებთა მატჩი დაასრულებს.

# საქართველოს 2004-2005 წლების XVI ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola — მინერალური სპონსორი

### III წრე

**XIX ტური**
**18.02 2005 პარასკევი**
ტორპედო (ქუთაისი) — ლოკომოტივი (თბილისი)
კოლხეთი 1913 (ფოთი) — ვიტ ჯორჯია (თბილისი)
დილა (გორი) — დინამო (ბათუმი)
ზესტაფონი (ზესტაფონი) — თბილისი (თბილისი)
დინამო (თბილისი) — სიონი (ბოლნისი)

**XX ტური**
**25.02 2005 პარასკევი**
თბილისი — კოლხეთი 1913
ლოკომოტივი — დინამო (ბთ)
სიონი — დილა
ტორპედო — ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია — დინამო (თბ)

**XXI ტური**
**01.03 2005 სამშაბათი**
ზესტაფონი — ლოკომოტივი
კოლხეთი 1913 — ტორპედო
დინამო (ბთ) — სიონი
დინამო (თბ) — თბილისი
დილა — ვიტ ჯორჯია

**XXII ტური**
**05.03 2005 შაბათი**
ვიტ ჯორჯია — დინამო (ბთ)
ლოკომოტივი — სიონი
ზესტაფონი — კოლხეთი 1913
ტორპედო –– დინამო (თბ)
თბილისი — დილა

**XXIII ტური**
**12.03 2005 შაბათი**
კოლხეთი 1913 — ლოკომოტივი
დილა — ტორპედო
დინამო (თბ) — ზესტაფონი
დინამო (ბთ) — თბილისი
სიონი — ვიტ ჯორჯია

**XXIV ტური**
**16.03 2005 ოთხშაბათი**
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — დინამო (ბთ)
ზესტაფონი — დილა
კოლხეთი 1913 — დინამო (თბ)
თბილისი — სიონი

**XXV ტური**
**20.03 2005 კვირა**
დილა — კოლხეთი 1913
დინამო (ბთ) — ზესტაფონი
სიონი — ტორპედო
ვიტ ჯორჯია — თბილისი
დინამო (თბ) — ლოკომოტივი

**XXVI ტური**
**02.04 2005 შაბათი**
ლოკომოტივი — თბილისი
კოლხეთი 1913 — დინამო (ბთ)
ზესტაფონი — სიონი
დინამო (თბ) — დილა
ტორპედო — ვიტ ჯორჯია

**თასის 1/2 ფინალი**
**06.04 2005 ოთხშაბათი**

**XXVII ტური**
**10.04 2005 კვირა**
სიონი — კოლხეთი 1913
ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი
დილა — ლოკომოტივი
დინამო (ბთ) — დინამო (თბ)
თბილისი — ტორპედო

### IV წრე

**XXVIII ტური**
**17.04 2005 კვირა**
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი 1913
დინამო (ბთ) — დილა
თბილისი —ზესტაფონი
სიონი — დინამო (თბ)
ლოკომოტივი — ტორპედო

**XXIX ტური**
**21.04 2005 ხუთშაბათი**
კოლხეთი 1913 — თბილისი
დინამო (ბთ) — ლოკომოტივი
დილა — სიონი
ზესტაფონი — ტორპედო
დინამო (თბ) — ვიტ ჯორჯია

**XXX ტური**
**26.04 2005 სამშაბათი**
ლოკომოტივი — ზესტაფონი
ტორპედო — კოლხეთი 1913
სიონი — დინამო (ბთ)
თბილისი — დინამო (თბ)
ვიტ ჯორჯია — დილა

**XXXI ტური**
**30.04. 2005 შაბათი**
დინამო (ბთ) — ვიტ ჯორჯია
დილა — თბილისი
დინამო (თბ) — ტორპედო
სიონი — ლოკომოტივი
კოლხეთი 1913 — ზესტაფონი

**თასის 1/2 ფინალი**
**04.05. 2005 ოთხშაბათი**

**XXXII ტური**
**08.05 2005 კვირა**
ლოკომოტივი — კოლხეთი 1913
ტორპედო — დილა
ზესტაფონი — დინამო (თბ)
თბილისი — დინამო (ბთ)
ვიტ ჯორჯია — სიონი

**XXXIII ტური**
**14.05.2005 შაბათი**
სიონი — თბილისი
დინამო (ბთ) — ტორპედო
დილა — ზესტაფონი
დინამო (თბ) — კოლხეთი 1913
ვიტ-ჯორჯია — ლოკომოტივი

**XXXIV ტური**
**18.05 2005 ოთხშაბათი**
კოლხეთი1913 — დილა
ზესტაფონი — დინამო (ბთ)
ტორპედო — სიონი
თბილისი — ვიტ ჯორჯია
ლოკომოტიივი —დინამო (თბ)

**XXXV ტური**
**22.05 2005 კვირა**
თბილისი — ლოკომტივი
დინამო (ბთ) — კოლხეთი 1913
სიონი — ზესტაფონი
დილა — დინამო (თბ)
ვიტ ჯორჯია — ტორპედო

**თასის ფინალი**
**26.05 2005 ხუთშაბათი**

**XXXVI ტური**
**30.05 2005 ორშაბათი**
ტორპედო — თბილისი
ლოკომოტივი — დილა
დინამო (თბ) — დინამო (ბთ)
კოლხეთი 1913 — სიონი
ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია



ფოტო რ. ბაგრატიონისა.

გამარჯვებული გუნდი თამაზ კუჭუხიძის ძმასთან კოტესთან ერთად.

# მწვრთნელის ხსოვნის ტურნირი

ფეხბურთში აფხაზეთიის დამსახურებული მწვრთნელის თამაზ კუჭუხიძის ხსოვნას სათუთად ინახავენ მისი კოლეგები და აღზრდილები. ამგვარი მწვრნელის სახელობის საფეხბურთო ტურნირის ჩატარების ტრადიციაც ამის დასტურია.

ამჯერად ტურნირს „ქარიშხალას" სპორტკომპლექსმა უმასპინძლა. წარმატებისთვის თბილისის და რუსთავის ჭაბუკთა რამდენიმე გუნდი იბრძოდა.. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რუსთავის და თბილისის „ლოკომოტივის" ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს პატარა რკინიგზელებმა — 4-1.

საუკეთესოდ დასახელდნენ: გიორგი თვალიაშვილი — მეკარე, რატი ჩოხაძე — მცველი (ორივე — „ლოკომოტივი"), რუსლან კაკუბავა — ნახევარმცველი („ვაკე — 91"), ალეკო ბერიძე — თავდამსხმელი („რუსთავი"), დავით ჯიქია — ბომბარდირი, ირაკლი შავიძე — პერსპექტიული მოთამაშე (ორივე — „ვაკე-91").

„ქართული ფეხბურთის" რედაქტორი მიხეილ საგანხარიშვილი

# დ. ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩების სტატისტიკა

**9 დეკემბერი. ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 3000 მაყურებელი**

**ტორპედო — თბილისი 2-1**

**ტორპედო:** სტურუა, გამეზარდაშვილი, ლ. მერებაშვილი, ებრალიძე, კოშკაძე, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, გ. მეგრელაძე, ს. თოდუა, რევაზიშვილი, გ. ჩხეტიანი (გ. დარსაძე 59).

**თბილისი:** შეყრილაძე, ელიავა, ფიფია (მესხი 81), გოგიტა გოგუა, დ. ოდიკაძე, ორბელაძე, გეწაძე, ხოჯავა (გ. ნუგზარის ძე ჰელიძე 77), ს. იაშვილი (გ. მიქაძე 81), ქემოკლიძე, ა. კალაძე.

**გოლები:** 1-0 ნერგაძე (25), 1-1 ორბელაძე (51), 2-1 კოშკაძე (პ 90).

**გააფრთხილეს:** ხოჯავა (35), ს. თოდუა (47), ფიფია (71), ებრალიძე (73), ქემოკლიძე (90).

**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

**9 დეკემბერი. თბილისი. გლდანის სტადიონი. 500 მაყურებელი**

**ამერი — ვიტ ჯორჯია 0-2.**

**ამერი:** ნადირაშვილი, კეღელაშვილი, ელბაქიძე (ბჟალავა 78), დავითნიძე, კაიდარაშვილი, დეკანოსიძე, წინამძღვრიშვილი, გარუჩავა, სევასტოპულო, ხვადაგიანი, გ. სილაგავა.

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, დათუნაიშვილი, კვახაძე, თ. კობიაშვილი, იმედაშვილი (დ. ლომაია 39), ვ. გოჩაშვილი, ლ. კვარაცხელია, დიღმელაშვილი, ქოქიაშვილი (ცხომარია 46), მარცვალაძე, ადამია (სახოკია 76).

**გოლები:** 0-1 ადამია (19), 0-2 დიღმელაშვილი (74)

**გააფრთხილეს:** კეღელაშვილი (35), დეკანოსიძე (39), წინამძღვრიშვილი (53), მარცვალაძე (88).

**მსაჯი:** ზ. ანიაშვილი (გორი).

**9 დეკემბერი. თბილისი. სტადიონი „ლოკომოტივი". 100 მაყურებელი**

**ლოკომოტივი — კოლხეთი 1913 2-0**

**ლოკომოტივი:** გვარამაძე, ზ. ლაცაბიძე, მახვილაძე, ბაქრაძე, ლ. ქებაძე, გოგობერიშვილი, თ. სიჭინავა (სანიკიძე (82), რ. ონიანი, ლ. ჩხაიძე (გ. ონიანი 76), ბობოხიძე, სირბილაძე (ზ. ავალიანი 89).

**კოლხეთი:** ქვაჩახია, ჰითანავა (თაყაძე 46), გ. კილასონია, დ. ნარსია), გ. თოდუა (ნ. ნარსია 83), ქობულაძე, ვართაგავა, აკობია, მარგალიტაძე, ქუთათელაძე, ძიძუაშვილი.

**გოლები:** 1-0 რ. ონიანი (18), 2-0 ბობოხიძე (80).

**გააფრთხილეს:** აკობია (26), მარგალიტაძე (43)

**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

**მერვედფინალის გადატანილი საპასუხო მატჩი**

**ზესტაფონი. 12 დეკემბერი. ცენტრალური სტადიონი.**

**ზესტაფონი — დინამო (თბ)** (უამინდობის გამო გადაიდო).

# ზესტაფონში თოვლმა აჯობა ფეხბურთს



საფეხბურთო სეზონი ოფიციალურად ზესტაფონის სათასო მატჩით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ უამინდობამ, უფრო სწორად დიდთოვლობამ, შეხვედრა საგაისოდ გადადო.

წლეულს, ფეხბურთი დამთავრდა. I იანვარს კი სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება და მატჩების განახლებამდე საფეხბურთო სამყარო ისევ ახმაურდება და ამოძრავდება. სათასო პაექრობები ეროვნულ პირველობასთან ერთად, თებერვლის შუა რიცხვებში განახლდება.

# მსოფლიო ჩემპიონი ნადირობისას დაიღუპა

ფეხბურთში მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი — არგენტინელი 43 წლის ხოსე ლუის კუსიუფო ტრაგიკულად დაიღუპა მიყენებული ჭრილობისაგან ნადირობის დროს ბუენოს-აირესის სამხრეთ პროვინციაში. კუსიუფო თავის დროზე ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობდა „ტალერესში", „ველეს სარსფილდში", „ბოკა ხუნიორსში" (ყველა — არგენტინა), „ნიმში" და „რეიმსში" (ორივე — საფრანგეთი).

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## «ბომბი» «სანტიაგო-ბერნაბეუზე»

გასულ შაბათ-კვირას გამართულ ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურების მიმოხილვას დავიწყებთ ესპანეთის პრიმერა-დივიზიონის მე-15 ტურით.

მადრიდის „რეალი“ „სანტიაგო-ბერნაბეუზე“ კლუბ „რეალ სოსიედადს“ მასპინძლობდა. მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე სტადიონის ადმინისტრაციაში დარეკეს ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია „ეტა“-დან და აცნობეს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბომბი იყო დამონტაჟებული, რომელიც 20წუთში უნდა აფეთქებულიყო. მატჩი მაშინვე შეწყდა, სტადიონის უსაფრთხოების სამსახურმა დაატოვებინა სტადიონი გუნდებსაც, მსაჯებსაც და გულშემატკივრებსაც. შემდეგ გამნაღმველები და კინოლოგები ჩაერთვნენ საქმეში, რომლებმაც მთელი სტადიონი გაჩხრიკეს, ბომბი კი ვერ აღმოაჩინეს. რაც შეეხება მატჩს, ის აღარ განახლებულა. ამ მომენტისათვის ანგარიში იყო 1-1.

**გუშინდელი ინფორმაციით, „რეალი“ და „რეალ სოსიედადი“ დარჩენ-**



**ილ შვიდ წუთს 5 იანვარს ითამაშებენ.**

ამასობაში „ბარსელონა“ უკვე 9 ქულით უსწრებს უახლოეს მდევრებს. კატალონიურმა კლუბმა სტუმრად 2-1 დაამარცხა „ალბასეტე“. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ინიესტამ და ჩავიმ. **„ბარსელონას“ შემადგენლობა:** ვალდესი, დამია (მესი, 90), ოლეგერი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ჩავი, მარკესი (როდრი, 87), ინიესტა, დეკუ, რონალდინიო (სილვინიო, 87), ეტო'ო. 15 თამაშიდან რაიკარდის გუნდს 38 ქულა აქვს. 29 ქულით მეორე ადგილზეა „ესპანიოლი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე 2-1 დაამარცხა „მალიორკა“. 28 ქულით მესამეზე გადაინაცვლა „ვალენსიამ“, რომელმაც მარჩენას ერთადერთი გოლის წყალობით სძლია „ნუმანსიას“.

**სხვა მატჩები.** „ბილბაო“ — „ატლეტიკო“ 1-0, „მალაგა“ — „ლევანტე“ 1-0, „ბეტისი“ — „რასინგი“ 2-1, „დეპორტივო“ — „სევილია“ 2-2, „ხეტაფე“ — „ვილიარეალი“ 1-2, „ოსასუნა“ — „სარაგოსა“ 2-2.

**მომდევნო ტურში, 18-19 დეკემბერს ერთმანეთს შეხვდებიან:** „ატლეტიკო“ — „დეპორტივო“, „ბარსელონა“ — „ვალენსია“, „რასინგი“ — „რეალი“, „სევილია“ — „ბეტისი“, „სოსიედადი“ — „ხეტაფე“, „სარაგოსა“ — „ბილბაო“, „მალიორკა“ — ოსასუნა“, „ლევანტე“ — „ალბასეტე“, „ვილიარეალი“ — „მალაგა“, „ნუმანსია“ — „ესპანიოლი“.

**გერმანიის ბუნდესლიგის** შემოდგომის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“ გახდა, რომელიც პირველი წრის ბოლო, მე-17 ტურის მატჩში, „შტუტგარტთან“ 0-2 აგებდა 65-ე წუთისათვის, მაგრამ დარჩენილ დროში პისარომ და გერერომ მოახერხეს ორი გოლის გატანა და შეხვედრა ფრედ — 2-2 დასრულდა. „ბაიერნმა“, ისევე როგორც „შალკემ“, 34 ქულა დააგროვა, თუმცა, ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე დაამთავრა წრე. არადა, „შალკეს“ შეეძლო მიუნხენური კლუბისათვის გადაესწრო, — საქმე ის არის, რომ მე-17 ტურში ლევან კობიაშვილის გუნდი ცქიტიშვილისა და იაშვილის „ფრაიბურგს“ მასპინძლობდა. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, ბუნდესლიგის აშკარა აუტსაიდერია.



„შალკე“ 24-ე წუთზე კრსტაიჩის გოლით დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა — მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ანტაჩმა წონასწორობა აღადგინა.

**გუნდების შემადგენლობა:**

**„შალკე“:** როსტი, ალთინთოფი, ბორდონი, კრსტაიჩი, კობიაშვილი, კამფუისი, პოულსენი, ლინკოლნი, ასამოა, სანდი (როდრიგესი, 75), არლტინი (ჰანკე, 83).

**„ფრაიბურგი“:** გოლცი, რიტერი, მოჰამიდი, ჰერმელი, ბერნერი (კონდე, 36), არგო (ვილი, 85), ანტარი, კრუპკე, კაირო, იაშვილი, ტანკო (სანე, 76).

**სხვა მატჩები:** „მაინცი“ — „ნიურნბერგი“ 0-1, „ბოხუმი“ — „ჰამბურგი“ 1-2, „ჰანოვერი“ — „ჰერტა“ 0-1, „ჰანზა“ — „დორტმუნდი“— 1-1, „ვერდერი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 1-1, „მიონხენგლადბახი“ — „ლევერკუზენი“ 1-1, „ვოლფსბურგი“ — „არმინია“ 5-0. ბუნდესლიგის მეორე წრე 22 იანვარს დაიწყება.

**ინგლისის პრემიერლიგის** მე-17 ტურში ცენტრალური მატჩი შედგა ლონდონში, სადაც ერთმანეთს „არსენალი“ და რომან აბრამოვიჩის „ჩელსი“ დაუპირისპირდნენ.

ანგარიში უკვე მეორე წუთზე ანრიმ გახსნა, თუმცა, ამ უპირატესობით ვენგერის გუნდმა მხოლოდ 15 წუთი გაძლო. მე-17-ზე ტერიმ წონასწორობა აღადგინა. 29-ე წუთზე ანრიმ კიდევ ერთხელ წინ გაიყვანა თავისი გუნდი, მაგრამ მეორე ტაიმში გუდიონსენმა ანგარიში გაათანაბრა და მატჩიც ფრედ — 2-2 დასრულდა.

**გუნდების შემადგენლობა. „არსენალი“:** ალმუნია, ლორენი, ტერე, კემპბელი, კოული, პირესი, ფლამინი, ფაბრეგასი, რეიესი (კლიში, 82), ბერხკამპი (ვან პერსი, 82), ანრი.

**„ჩელსი“:** ჩეხი, პაულე ფერეირა, რიკარდუ კარვალიუ (ბრიჯი, 46), ტერი, გალა, დაფი, ტიაგუ (დროგბა, 46), მაკელელე, ლამპარდი, რობენი, გუდიონსენი (პარკერი, 77).

„ჩელსი“ 40 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა და 4 ქულით უსწრებს „ევერტონს“. რაც შეეხება „არსენალს“, ამ უკანასკნელს 35 ქულა აქვს და მესამე ადგილზე იმყოფება.

**სხვა მატჩები:** „ევერტონი“ — „ლივერპული“ 1-0, „კრისტალ პალასი“ — „ბლექბერნი“ 1-0, „მანჩესტერ სიტი“ — „ტოტენჰემი“ 0-1, „ნიუკასლი“ — „პორტსმუთი“ 1-1, „ნორვიჩი“ — „ბოლტონი“ 3-2, „საუთჰემპტონი“ „მიდლსბრო“ — 2-2, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ჩარლტონი“ 0-1, „ასტონ ვილა“ — „ბირმინგემი“ 1-2.

**მომდევნო ტურში 18-19 დეკემბერს ერთმანეთს შეხვდებიან:** „ბირმინგემი“ — „ვესტ ბრომვიჩი“, „ბლექბერნი“ — „ევერტონი“, „ბოლტონი“ — „მანჩესტერ სიტი“, „ჩარლტონი“ — „ფულემი“, „ჩელსი“ — „ნორვიჩი“, „ლივერპული“ — „ნიუკასლი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „კრ. პალასი“, „მიდლსბრო“ — „ასტონ ვილა“, „პორტსმუთი“ — „არსენალი“, „ტოტენჰემი“ — „საუთჰემპტონი“.



**იტალიის სერია „ა“-ში** გრძელდება „კატა-თაგვობანა“ „იუვენტუსსა“ და „მილანს“ შორის.

„ბებერი ქალბატონი“ კალაძის გუნდს კვლავ 4 ქულით უსწრებს. მე-15 ტურში ორივე გუნდმა იმარჯვა. „იუვენტუსმა“ სტუმრად ნედვედის მიერ 86-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა „ბოლონია“, ხოლო „მილანმა“ საკუთარ მოედანზე 6-0 გაანადგურა „ფიორენტინა“. ამ მატჩში გოლები გაიტანეს შევჩენკომ (ორი გოლი), ზეედორფმა (2), კრესპომ და ერთიც კოლინმა საკუთარ კარში.

**„მილანის“ შემადგენლობა:** დიდა, კაფუ, ნესტა“. მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (ამბროზინი, 69), ზეედორფი, კაკა (რუი კოშტა, 67), შევჩენკო, კრესპო (დორასი, 73).

15 ტურის შემდეგ „იუვენტუსს“ 38 ქულა აქვს, „მილანს“ — 34.

**სხვა მატჩები:** „ატალანტა“ — „უდინეზე“ 0-1, „ლაციო“ — „ლეჩე“ 2-2, „სიენა“ — „ინტერი“ 2-2, „რეჯინა“ — „კალიარი“ 3-2, „კიევო“ — „პალერმო“ 2-1, „ბრეშა“ — „რომა“ 0-1, „სამპდორია“ — „მესინა“ 1-0, „ლივორნო“ — „პარმა“ 2-0.

**მომდევნო ტურში, 18-19 დეკემბერს ერთმანეთს შეხვდებიან:** „ბოლონია“ — „რეჯინა“, „ფიორენტინა“ — „კიევო“, „ინტერი“ — „ბრეშა“, „იუვენტუსი“ — „მილანი“, „ლეჩე“ — „სამპდორია“, „მესინა“ — „ატალანტა“, „პალერმო“ — „კალიარი“, „რომა“ — „პარმა“, „სიენა“ — „ლივორნო“, „უდინეზე“ — „ლაციო“.

**გაგაცნობთ საფრანგეთის ჩემპიონატის მე-18 ტურის შედეგებს:** "მარსელი" — „ოსერი“ 0-1, „სტ. ეტიენი“ — „კაენი“ 5-0, „ტულუზა“ — „ისტრი“ 2-1, „რენი“ — „ლანსი“ 3-1, „ბორდო“ — „ლიონი“ 0-0, „ბასტია“ — „მონაკო“ 0-2, „ლილი“ — „ნანტი“ 2-1, „ნიცა“ — „აიაჩო“ 3-0, „მეცი“ — „სტრასბური“ 1-0, „სომო“ — პსჟ 1-2.

ჩემპიონატს 38 ქულით ლიდერობს „ლიონი“, რომელსაც 3 ქულით ჩამორჩება „ლილი“.

## სპეციალისტები, საფეხბურთო კლუბები, ფეხბურთელები...

**ევროპის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ სპეციალისტებმა გადაავლეს თვალი განვლილ მატჩებს და გარკვეული დასკვნებიც გააკეთეს. რით იყო აღსანიშნავი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი?**

**ჟოზე მოურინიო.** ამ მწვრთნელის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იდგა. ლონდონის „ჩელსი“ უნდა გარდაექმნა ლიგის ფავორიტ გუნდად და შეიძლება ითქვას, რომ მას ეს გამოუვიდა კიდეც. „ჩელსიმ“ ოთხი მატჩი ზედიზედ მოიგო, ბოლო ტურში კი დამარცხდა შარშანდელ გამარჯვებულთან „პორტუსთან“, თუმცა, ეს უკვე აღარაფერს ნიშნავდა.

**„ლიონი“.** ამ ფრანგულმა კლუბმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შეიძლება ითქვას, რომ თავის ჯგუფში დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. „ლიონის“ შემადგენლობაში აღმოჩენად იქცა 20 წლის ბრაზილელი ნილმარი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ოთხჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

**სტივენ ჯერარდი.** ტრავმის შემდეგ სტივენ ჯერარდის დაბრუნებამ „ლივერპულის“ თამაში გამოაცოცხლა. მის მიერ 25 მეტრი მანძილიდან „ოლიმპიაკოსის“ კარში გატანილი უმნიშვნელოვანესი გოლი ინგლისელ ფანებს არასოდეს დაავიწყდებათ.

**ხავიერ სავიოლა.** „მონაკომ“ თავის ჯგუფში საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა. წარმატების მთავარი საწინდარი სავიოლას გაბრწყინება იყო. ეს ფეხბურთელი არენდით არის გაცემული და ზამთარში ის, ალბათ, დაუბრუნდება „ბარსელონას“.

**„იუვენტუსი“.** „ბებერმა ქალბატონმა“ ფენომენალური შედეგი აჩვენა — 6 მატჩში 6 გამარჯვება მიითვალა, თანაც ერთნაირი ანგარიშით — 1-0.

**გუუს ჰიდინკი.** ამ სპეციალისტმა პსვ „ეინდჰოვენი“ უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში პირველად აიყვანა ასეთ სიმაღლეზე — გუნდი მერვედფინალში გავიდა.

**„რომა“.** ჯგუფური ტურნირის დაწყებიდან 45 წუთის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა — მსაჯს მავანმა ვაი-გულშემატკივარმა თავი გაუტეხა და უეფამ გუნდი ცარიელი ტრიბუნების წინ დატოვა.

**„დეპორტივო“.** ამ გუნდის წარუმატებლობა სრულიად მოულოდნელი იყო. შარშანდელი ნახევარფინალისტი ჯგუფურ ეტაპსაც ვერ გასცდა.

## ფეხბურთელთა გულების გადასარჩენად

**ბოლო პერიოდში გახშირდა გულის უეცარი შეტევის შედეგად ფეხბურთელების სიკვდილიანობა მატჩების მიმდინარეობის დროს. საფეხბურთო მოედანზე ფეხბურთელები ადრეც გარდაცვლილან, მაგრამ 2003 წლიდან მოყოლებული ასეთი შემთხვევების რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა.**



ყველაფერი კამერუნელი ნახევარმცველის მარკ ვივიენ ფოეს ტრაგედიით დაიწყო. ეს მოთამაშე 2003 წელს, კონფედერაციის თასის გათამაშების ერთ-ერთი მატჩის დროს ფრანგების წინააღმდეგ, მოულოდნელად დაეცა მოედანზე... ექიმებმა ვერაფერი უშველეს. ფოეს სიკვდილის თვითმხილველი ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი იყო, რომელიც მატჩს „სტად დე ფრანსის“ ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. მატჩის შემდეგ ბლატერმა განაცხადა, რომ ფოეს სიკვდილის მიზეზი შეიძლება გადაღლილობით ყოფილიყო გამოწვეული.

იმავე წლის დეკემბერში, პორტუგალიური კლუბის — „ბენფიკას“ მოთამაშემ მიკლოშ ფეხერმა, ერთ-ერთი მატჩის დროს უხეშად ითამაშა მეტოქე გუნდის ფეხბურთელის წინააღმდეგ, შემდეგ გაუღიმა მსაჯს, რომელსაც მისი მისამართით ყვითელი ბარათი ჰქონდა შემართული, თმებზე ხელი გადაისვა, ორი ნაბიჯი გადადგა და... უსულოდ დაეცა. ფეხერის სიკვდილის მიზეზი ისევ გული იყო.

ამის შემდეგ, ფეხბურთელების სიკვდილის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩების დროს, კერძოდ, რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუში. ექიმების დასკვნით, ორივე შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი ბავშვობაში უხარისხო საკვების მიღება და მედიკამენტების არგამოყენება იყო.

გასულ კვირაში კიდევ ორი ტრაგედია მოხდა, ერთი — ბრაზილიაში, ერთი — ინდოეთში. ორივე შემთხვევაში ბრაზილიელი მოთამაშეები გულის უკმარისობამ იმსხვერპლა. ერთ-ერთი მათგანის, კრისტიანო ჟუნიორის (ეს ფეხბურთელი ინდოეთის ჩემპიონატში ასპარეზობდა) მშობლებმა განაცხადეს, რომ თავიანთი შვილის სიკვდილის მიზეზი გადაღლილობა და დაძაბულობა იყო...

ბოლო ორი შემთხვევის გამო ოფიციალური განცხადება გააკეთა ზეპ ბლატერმა. მან მხარი დაუჭირა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომელმაც პარასკევს ლოზანაში გამართულ სხდომაზე მიიღო დადგენილება სპორტსმენთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად საჭირო ზომების მისაღებად. ე.წ. „ლოზანის რეკომენდაციაში“ ნათქვამია: „სპორტში უეცარი სიკვდილის შემთხვევების 90 პროცენტზე მეტი გამოწვეულია გულის ავადმყოფობით. სპორტსმენები აუცილებლად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი საკუთარი გულის მდგომარეობის შესახებ“.

## ცნობილია თანამეგობრობის თასის გათამაშების ყველა მონაწილე

ცნობილი გახდა დსთ-ს თანამეგობრობის თასის გათამაშების ყველა მონაწილე. ეს ტურნირი, როგორც ცნობილია, 2005 წლის იანვარში მოსკოვში ჩატარდება. მონაწილე გუნდები ოთხ ჯგუფში შემდეგნაირად არიან განაწილებულნი.

**„ა“ ჯგუფი.** „ლევადია“ (ტალინი), „დინამო“ (მინსკი), „ქაირათი“ (ალმა-ათა), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (უკონკურსოდ).

**„ბ“ ჯგუფი:** „დინამო“ (თბილისი), „ფახთაქორი“ (ტაშკენტი), „კაუნასი“, „დორდიო — დინამო“ (ყირგიზეთი);

**„ც“ ჯგუფი:** „სკონტო“ (რიგა), „რეგარი“ (ტაჯიკეთი), „პიუნიკი“ (ერევანი);

**„დ“ ჯგუფი:** „შერიფი“ (ტირასპოლი), „ნებიტჩი“ (ბალკანატი, თურქმენეთი), „ნეფთჩი“ (ბაქო).

რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონები — მოსკოვის „ლოკომოტივი“ და კიევის „დინამო“ შეჯიბრებაში ნახევარფინალიდან ჩაერთვებიან. დებულების თანახმად, ჯგუფის გამარჯვებულები აგრძელებენ ასპარეზობას. ჯგუფური ეტაპის მატჩები 15, 16 და 18 იანვარს გაიმართება, მეოთხედფინალური შეხვედრები — 19 იანვარს, ნახევარფინალური — 21-ში, ხოლო დსთ-ს თანამეგობრობის თასის გათამაშების გამარჯვებული 23 იანვარს გამოვლინდება.



## „პორტუმ“ საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა

ტოკიოს სტადიონზე 43-ედ გადათამაშდა საკონტინენტთაშორისო თასი. ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებული პორტუგალიის „პორტუ“ და კოლუმბიური „ონსე კალდასი“. მატჩი დაძაბულად წარიმართა. გუნდებმა ვერც ძირითად და ვერც დამატებით დროში გოლის გატანა ვერ მოახერხეს. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, სადაც 8-7 გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა. ამრიგად, საკონტინენტთაშორისო თასის 21-გზის გამარჯვებულები ევროპელები არიან, ხოლო 22-გზის — ოკეანის გაღმელები.

**გუნდების შემადგენლობა: „პორტუ“:** ვაია (ნუნუ, 100), რიდისი, ჟორჟე კოშტა, ემანუელი, რიკარდუ კოშტა, კოშტინია, დიეგუ, მანიშე, დერლეი (კარლოს ალბერტო, 69), მაკარტი, ლუიშ ფაბიანუ (კვარეშმა,78),

**„ონსე კალდასი“.** ენაო, როხასი, კამბინდო (კაეტანო, 46), ვანეგასი, ედვინ გარსია, ველასკესი, ფაბრო, ვიაფარა, სოტო (ალკასარი, 99), დიეგო არანგო (დიასი, 61), დე ნიგრისი.

# ნბა

## გარი პეიტონმა თავის ყოფილ გუნდს ლიდერობა დააკარგვინა



გასულ შაბათ-კვირას გამართული ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მატჩებიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია „სიეტლისა“ და „ბოსტონის“ შეხვედრამ. ამ უკანასკნელის ღირსებას იცავს გარი პეიტონი, რომელიც ერთ დროს „სიეტლის“ წამყვანი მოთამაშე იყო. როცა მატჩის დაწყებამდე გუნდების სასტარტო ხუთეულების გამოცხადება დაიწყს, „სიეტლის“ გულშემატკივრები პეიტონს ოვაციებით შეხვდნენ. „ესენი ნამდვილი გულშემატკივრები არიან, რომლებსაც დღესაც ვახსოვარ“, — განაცხადა პეიტონმა მატჩის შემდეგ. ეს კალათბურთელი ამ შეხვედრის მთავარი გმირი გახდა, — მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა, — 21 ქულა შესძინა გუნდს. მას მხარი აუბა პირსმაც და „ბოსტონმა“ გაიმარჯვა 98:84, „სიეტლმა“ კი დასავლეთ კონფერენციაში ლიდერობა დაკარგა.

ლოს-ანჯელესში 20 ათასი მაყურებელი დაესწრო ადგილობრივ „ლეიკერსისა“ და „კლიპერსის“ შეხვედრას. დაძაბულ ბრძოლაში „ლეიკერსმა“ ორი ქულის სხვაობით იმარჯვა — 89:87. ამ გუნდის შემადგენლობაში ბრწყინავდა კობი ბრაიანტი, რომელმაც 37 ქულა მოაგროვა და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

დასავლეთ კონფერენციის ლიდერის პოზიცია „ფინიქსმა“ დაიკავა.

რაც შეეხება აღმოსავლეთ კონფერენციას, აქ ლიდერებმა — „დეტროიტმა“ და „ინდიანამ“ მარცხი იწვნიეს. ნბა-ს ჩემპიონმა „დეტროიტმა“ 4 ქულით წააგო სტუმრად — „მემფისთან“ (68:72), ხოლო „ინდიანამ“ ვერაფერი გააწყო საკუთარ მოედანზე „საკრამენტოსთან“ — 92:97.

ჯეისონ კიდის დაბრუნების შემდეგ კრიზისიდან გამოდის „ნიუ-ჯერსი“, რომელმაც ბოლო ოთხი შეხვედრიდან სამი მოიგო. ამჯერად სტუმრად 95:90 დაამარცხა „ატლანტა“. საინტიერესოა, რომ ამ მატჩში კიდის თავისი კარიერის ბოლო 11 წლის განმავლობაში, პირველად, ერთი შედეგიანი გადაცემაც არ გაუკეთებია, ისე კი, 9 ქულა მიითვალა და 3-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.



**სხვა მატჩები:** „ჩიკაგო“ — „მინესოტა“ 99:88, „ჰიუსტონი“ — „დალასი“ 78:102, „სან-ანტონიო“ — „კლივლენდი“ 116:97.

**კობი ბრაიანტი ისევ საუკეთესო იყო. მას სწამს, რომ შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად „ლეიკერსი“ მიმდინარე სეზონის ფლეი-ოფში აუცილებლად მოხვდება.**

# კლიჩკომ ტიტული შეინარჩუნა




**უკრაინელმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ შეინარჩუნა ვბც-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ამერიკელ დენი უილიამსთან ბრძოლაში. ეს უკანასკნელი კლიჩკომ მერვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა, მანამდე კი, მეტოქე სამჯერ გაგზავნა ნოკდაუნში. ჩვენი მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ქრონოლოგიურად მივყვებით კლიჩკო-უილიამსის ორთაბრძოლის მსვლელობას.**

**პირველი რაუნდი.** კლიჩკომ თავიდანვე შეუტია მეტოქეს და ერთ მომენტში ზედიზედ იმდენი დარტყმა განახორციელა, რომ უილიამსის ნოკაუტში გასაგზავნად სრულიად საკმარისი იყო, მაგრამ ამერიკელი მაინც წამოდგა.



**მეორე რაუნდი.** უილიამსი ბევრ დარტყმას უშვებს, ამავე დროს, ყველას დაანახვა, რომ სახიფათო კონტრშეტევის განხორციელებაც შეუძლია.

**მესამე რაუნდი.** დენი უილიამსი გააქტიურდა. რამდენიმე ძლიერი დარტყმა განახორციელა კიდეც, ამავე დროს თავადაც დაუშვა შეცდომა და მეორედ აღმოჩნდა ნოკდაუნში, ამერიკელი მოკრივე ფეხზე მალე წამოდგა და შესვენების მაუწყებელმა გონგმა სულზე მიუსწრო.

**მეოთხე — მეხუთე რაუნდი.** ვიტალი კლიჩკოს უპირატესობა აშკარად იგრძნობოდა, თუმცა, უილიამსი მაინც მედგრად იგერიებდა უკრაინელის შეტევებს.

**მეექვე რაუნდი.** ვიტალიმ მეტოქეს ორი აპერკოტი უთავაზა, თუმცა, არცთუ ძლიერი აღმოჩნდა დარტყმები.

**მეშვიდე რაუნდი.** უილიამსი ისევ გააქტიურდა, მაგრამ თავად მესამედ აღმოჩნდა ნოკდაუნში. მართალია, ამერიკელი მოკრივე კვლავ წამოდგა, მაგრამ უკვე ნათლად ჩანდა, რომ ის ამ ბრძოლის მომგები არ იყო.

**მერვე რაუნდი.** ვიტალი კლიჩკომ ზედიზედ ორივე ხელით განახორციელა დარტყმები მეტოქეზე. აქედან ერთი მშვენიერი აპერკოტიც გამოუვიდა. უილიამსი რინგზე გაიშხლართა და რეფერიმ — ჯეი ნეიდიმ ბრძოლა შეწყვიტა...

მაშ, ასე, კლიჩკომ მნიშვნელოვანი გამარჯვება მიითვალა. ახლა მასთან შეხვედრა ჯონ რუისს სურს, თუმცა, არავინ იცის, როდის გაიმართება ეს ორთაბრძოლა, მით უმეტეს, რომ უკრაინელს ექიმებმა ორივე ხელის ტრავმები დაუდგინეს...

# დღესაც შეხვდებიან

დღეს ნჰლ-ის მოთამაშეთა ასოციაციის ხელმძღვანელები კვლავ დასხდებიან მოსალაპარაკებლად ლოკაუტთან დაკავშირებით. რამდენიმე დღის წინ, ტორონტოში გამართულ შეხვედრაზე მოთამაშეთა ასოციაციის წარმომადგენლებმა ნჰლ-ის ხელმძღვანელობას შესთავაზეს სამუშაო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჰოკეისტებისათვის ხელფასების ერთიანად შემცირებას 24 პროცენტით, თუმცა, ადგილზე შეთანხმებას ხელი არ მოაწერეს. შეგახსენებთ, რომ ამ ორ მხარეს შორის მთავარი სადავო საკითხი სწორედ სახელფასო ფონდის შემცირებაა.

„მოთამაშეთა ასოციაციის უკანასკნელი შემოთავაზება საკმაოდ სერიოზული საკითხია, თუმცა, მისი გადაჭრით ყველა პრობლემა არ მოგვარდება“, — განაცხადა ნჰლ-ის ხელმძღვანელმა გარი ბეტმენმა ჟურნალისტებთან საუბარში. უნდა აღინიშნოს, რომ მოთამაშეთა ასოციაციამ ნჰლ-ის ხელმძღვანელობას თავდაპირველად ხელფასების 5-პროცენტიანი დაკლება შესთავაზა, შემდეგ 10-პროცენტიანი, ახლა კი ეს ციფრი 24-პროცენტამდეც ავიდა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ორივე მხარე კომპრომისზე წავა და მიმდინარე კვირაში საბოლოოდ შეთანხმდებიან.



## ნჰლ-ის ვარსკვლავები რუსებთან დამარცხდნენ

**ნჰლ-ში მიმდინარე ლოკაუტის გამო, ლიგის ვარსკვლავთა ნაკრები საჩვენებელი მატჩების ჩასატარებლად ევროპას ეწვია. გასულ შაბათს ოკეანის გაღმელები რუსეთის ჰოკეის ლიგის ვარსკვლავთა ნაკრებს შეხვდნენ და დამარცხდნენ — 4:5.**

**ამ მატჩში ნჰლ-ის ნაკრები ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა: ჰაშეკი, გონჩარი — რეგერი, კარტერი — უიტნი — ამონტი; ო'დონელი — ლაილსი, ს. ფედოროვი — ფ. ფედოროვი — დეგლი; ნორსტრემი — უორენერი, დომი — მიურეი — დრეი პერი; ბლეიკი, სუნდინი, სიკორა, კარტერი.**

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**14 დეკემბერი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ქართული ფეხბურთი (15.25), **იმედი.** პროგრამა „გოლი“ (17.25), „გოლი სერია „ა“. იტალიის ჩემპიონატი (2.40); *НТВ плюс футбол.* განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.00), საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (14.40), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (15.25), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.20), ჩემპიონთა ლიგა. ინგლისის „არსენალი“ — ნორვეგიის „რუსენბორგი“ (17.20), იტალიის (19.35), ინგლისის (20.35), გერმანიის (21.35) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. 22.35 — თავისუფალი დარტყმა. 22.50 — ჩემპიონთა ლიგა. საფრანგეთის პსჟ — რუსეთის ცსკა; *НТВ плюс спорт* მაგიდის ჩოგბურთი. დიდი ტურნირი ჩინეთში (11.15, 15.00); EUROSPORT. ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. ბედნიერი საათი. დიდი ბრიტანეთი (11.00, 16.00, 21.00), ფეხბურთი. ევროგოლები (12.00, 17.00), სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00, 14.30, 20.00), ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. კლასიკა (18.00, 19.00), კრივი. პროფესიონალები (22.00, 23.00), ევროსპორტის ახალი ამბები (1.30, 3.15), ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მიმოხილვა (1.45).

**15 დეკემბერი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. იმედი.** პროგრამა „ასი“ (14.30); *НТВ плюс футбол.* განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (12.15), იტალიის (14.00), ინგლისის (14.55), გერმანიის (16.05) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. 17.35 — ჩემპიონთა ლიგა. ესპანეთის „ვალენსია“ — გერმანიის „ვერდერი“. 19.50 — ჰოლანდიის ჩემპიონატი. „ფეიენოორდი“ — პსვ. 21.35 — ჩემპიონთა ლიგა. პორტუგალიის „პორტუ“ — ინგლისის „ჩელსი“. 23.45 — საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა. 0.55 — ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა. *НТВ плюс спорт* ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ძირითადი რაუნდი (10.45), ნაციონალური საჩოგბურთო პრემია „რუსეთის თასი“ (11.55), სათხილამურო რბოლები. მსოფლიო თასის ეტაპი. ვაჟები, ქალები (12.55), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ფინალი. დღე 1-ლი (16.35), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (21.55); EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 13.00, 15.00, 15.15), ფეხბურთი: უეფა, ჩემპიონთა ლიგა. ბედნიერი საათი (17.00), უეფა. ჩემპიონთა ლიგა. კლასიკა (18.00, 19.00), ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი (20.30), საცხენოსნო სპორტი: საუკეთესო ათეული. შვეიცარია (22.30), საჩვენებელი ხტომები. ლონდონი (23.30), ყველაფერი სპორტზე. ყოველკვირეული მიმოხილვა ოთხშაბათობით (1.00), ფეხბურთი. უეფას თასი. ჩეხეთი (1.15), ევროსპორტის ახალი ამბები (2.15), საბრძოლო ხელოვნება. ორთაბრძოლები (2.30).

**16 დეკემბერი, ხუთშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ — „დინამო“. რეპორტაჟი ვერის ბაღის კალათბურთის სასახლიდან (14.00, 16.00); *НТВ плюс футбол.* განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (12.15, 16.10), ჩემპიონთა ლიგა. თურქეთის „ფენერბახჩე“ — ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ (14.00), „ფუტბოლ მუნდიალი“ (18.00), ინგლისის ჩემპიონატი. „არსენალი“ — „ჩელსი“ (19.25), ჩემპიონთა ლიგა. გერმანიის „ბაიერი“ — უკრაინის „დინამო“ (21.10), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.05), „ფუტბოლ მუნდიალი“ (0.45); *НТВ плюс спорт* ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ძირითადი რაუნდი (10.45), ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთი — შვეცია (14.50), რუსეთი — ფინეთი (18.35), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (21.20); EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატები (10.30, 11.00, 12.00, 14.30, 16.00, 21.00), ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30), ფეხბურთი. უეფას თასი. ჩეხეთი (13.00, 1.45), ყველაფერი სპორტზე „ვატს“ (14.00, 17.30), ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. კლასიკა (19.00, 20.00), ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.00), კრივი. პროფესიონალები (22.45), საცხენოსნო სპორტი. საჩვენებელი ხტომები. ლონდონი (0.00), ევროსპორტის ახალი ამბები (1.30).

# კროსვორდი




**თარაზულად:** 1. სოფელი სამტრედიის რაიონში, 7. ანტიკურ ეპოქაში ოთხცხენიანი ეტლი, 8. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 9. მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ქვეყანა ფეხბურთში, 10. საფრანგეთის სარაგბო კლუბი, 13. ჰოლანდიის საფეხბ. კლუბი, 15. საჭადრაკო ჯარისკაცი, 17. თურქეთის საფეხბ. კლუბი, 19. ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1936 წელს, 21. მოჭადრაკე კასპაროვის სახელი, 23. სამაგიდო თამაში ნომრიანი კოჭებით, 24. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 25. გერმანიის საფეხბ. კლუბი, 26. ტანმოვარჯიშე გიორგაძის სახელი.

**შვეულად:** 1. საქართველოში ერთ-ერთი ტოტალიზატორი, 2. ბელგიის საფეხბ. კულბი, 3. ჰოკეის ბურთი, 4. სათამაშო სახლი, 5. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 6. რუსეთის საფეხბ. კლუბ, 7. საბჭოთა ჰოკეისტთა ნაკრების მეკარე, 11. ქართული სპორტსაზოგადოება, 12. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (შემოკლებით), 14. იტალიის საფეხბ. კლუბი, 16. ბერძნულ მითოლოგიაში ზევსის შვილი, 18. პოლონეთის საფეხბ. კლუბი, 20. ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი, იგორ .... 21. ჭიდაობის ცენტრი ქართლში, 22. სოკ-ის პრეზიდენტის გვარი.

მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. გაბაშვილი, 5. ვილი, 7. მჟავანაძე, 10. „როდა“, 11. „კაენი“, 13. კიი, 15. ნოზაძე, 16. რამსეი, 17. „ფეიენოორდი“, 20. რაუ, 22. ნიაგრა, 24. სორდია, 25. ილიადისი, 26. „კრილია“...

**შვეულად:** 1. „გეო“, 2. აბჟანდაძე, 3. ვავა, 4. ლუნა, 5. ვიერი, 6.ლი, 8. ლასო, 13. კორიდა, 14. მელაშვილი, 17. ფანდი, 18. იტალია, 19. ნოა, 21. ნარდი, 23. ინსი.

## 14 მონაწილე ცნობილია

2005 წლის 14-30 იანვარს ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში გაიმართება საჭადრაკო სუპერტურნირი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების მონაწილეობით. დღეისათვის 14 მონაწილეა ცნობილი: ვიშვანათან ანანდი, ვლადიმირ კრამნიკი, ალექსანდრ მოროზევიჩი, ვესელინ ტოპალოვი, პეტერ ლეკო, მაიკლ ადამსი, პეტრ სვიდლერი, რუსლან პონომარიოვი, ალექსანდრ გრიშჩუკი, ნაიჯელ შორტი, ლიუ ვან ველი, ივან სოკოლოვი, ლაზარო ბრუნი, იუდით პოლგარი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)




შამათი 2 სვლაში

№98-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ლa8!

1. ..... მფa4 2. კc5X, 1. ..... მფc4 2. ლe4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე